პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო
КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б)
ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 28 ივლისი, 1944 წ. № 152 (7095). ფასი 20 კაპ.

ჩვენი ქვეყანა დიად ისტორიულ დღეებს განიცდის. გმირი წითელი არმია ახალ-ახალ შესანიშნავ გამარჯვებებს აღწევს. საბჭოთა იარაღი ყოველდღიურად ზეიმობს თავის უმაგალითო წარმატებებს.

მოსკოვის სალუტებმა 26 ივლისს მსოფლიოს ამცნეს ქალაქების ნარვისა და დემბლინის, ხოლო 27 ივლისს — ქალაქების ბელოსტოკის, სტანისლავის, დვინსკის, რეჟიცას, ლვოვის და შაულიაის განთავისუფლება.

დიდება სახელოვან წითელ არმიას, რომელიც დიდი სტალინის წინამძღოლობით ახლოებს ჩვენი საბოლოო გამარჯვების ჟამს!

ბრძანება

უმაღლესი მთავარსარდლისა

საბჭოთა კავშირის მარშალ გოვოროვს

ლენინგრადის ფრონტის ჯარებმა, რომლებიც შეტევაზე გადავიდნენ **ნარვის** რაიონში, გაარღვიეს მოწინააღმდეგის ძლიერ გამაგრებული, ღრმად ეშელონირებული თავდაცვა და მარჯვე შემოვლითი მანევრისა და ფრონტალური იერიშის შედეგად დღეს, 26 ივლისს, შტურმით დაიკავეს ქალაქი და ციხე-სიმაგრე **ნარვა**—გერმანელთა თავდაცვის დიდმნიშვნელოვანი გამაგრებული რაიონი, რომელიც იფარავს ესტონეთში მიმავალ გზებს.

ქალაქ **ნარვის** დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ **ფედიუნინსკის**, გენერალ-ლეიტენანტ **სტარიკოვის**, გენერალ-მაიორ **რომანენკოს**, გენერალ-მაიორ **ბურაკოვსკის**, გენერალ-მაიორ **ტრუბაჩოვის**, გენერალ-მაიორ **ბატლუკის**, გენერალ-მაიორ **იაკუტოვიჩის**, გენერალ-მაიორ **კოზიევის**, პოლკოვნიკ **კაზუნენკოს** ჯარებმა; არტილერიის გენერალ-მაიორ **კაზაკოვის**, არტილერიის გენერალ-მაიორ **პიადუსოვის**, პოლკოვნიკ **ბალდასარიანის**, პოლკოვნიკ **შტეინის**, პოლკოვნიკ **ბონდარევის**, პოლკოვნიკ **გნიდინის**, პოლკოვნიკ **არუ-კაუშინსკის**, პოდპოლკოვნიკ **ბოგუშევის** არტილერისტებმა; გენერალ-მაიორ **ზაზიმკოს**, პოლკოვნიკ **მირონოვიჩის**, პოდპოლკოვნიკ **ბარილოვის**, პოდპოლკოვნიკ **კუზინის** ტანკისტებმა; ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ **რიბალჩენკოს**, ავიაციის გენერალ-მაიორ **ანდრეევის**, ავიაციის გენერალ-მაიორ **შჩერბაკოვის**, პოლკოვნიკ **მატვეევის**, პოლკოვნიკ **ხატმინსკის**, პოლკოვნიკ **გრესკოვის**, პოლკოვნიკ **კუროჩკინის** მფრინავებმა; პოლკოვნიკ **ცვანგერის**, პოდპოლკოვნიკ **ვასილკოვის**, მაიორ **ფომენკოს**, პოდპოლკოვნიკ **აფანასიევის**, კაპიტან **ვორონოვის** მესანგრეებმა; პოლკოვნიკ **ბაჩილინის**, პოდპოლკოვნიკ **პონომარენკოს**, პოდპოლკოვნიკ **შუბინის** მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი ქალაქ და ციხე-სიმაგრე **ნარვის** დაკავებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან „**ნარვის**“ სახელწოდების მისანიჭებლად და ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 26 ივლისს, 22 საათზე, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი **მოსკოვი** სამშობლოს სახელით ორას ოცდაოთხი ქვემეხის ოცი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს **ლენინგრადის** ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც დაიკავეს ქალაქი **ნარვა**.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის **მადლობას ვუცხადებ** თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ქალაქ **ნარვის** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1944 წლის 26 ივლისი.

ბრძანება

უმაღლესი მთავარსარდლისა

საბჭოთა კავშირის მარშალ როკოსოვსკის

ბელორუსიის 1-ლი ფრონტის ჯარებმა, სატანკო შენაერთებისა და ქვეითი ჯარის სწრაფი იერიშის შედეგად, შტურმით დაიკავეს ქალაქი და ციხე--სიმაგრე **დემბლინი** (ივანგოროდი) — დიდი სარკინიგზო კვანძი და გერმანელთა თავდაცვის მძლავრი დასაყრდენი პუნქტი მდინარე **ვისლაზე**.

ქალაქ **დემბლინის** დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-პოლკოვნიკ **ჩუიკოვის**, გენერალ-ლეიტენანტ **გლაზუნოვის**, გენერალ-მაიორ **შემენკოვის** ჯარებმა; გენერალ-მაიორ **რაძიევსკის**, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ **დუბოვოის**, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ **ვედენეევის**, პოლკოვნიკ **აბრამოვის**, პოლკოვნიკ **კოპილოვის**, პოლკოვნიკ **სტუკოვის**, პოლკოვნიკ **მირვოდას**, პოლკოვნიკ **პოტაპოვის**, პოლკოვნიკ **ლიბერმანის**, პოლკოვნიკ **კრევსის**, პოდპოლკოვნიკ **მაკაროვის**, პოდპოლკოვნიკ **ჩერენკინის**, მაიორ **გურენკოს**, მაიორ **ბარდნიკოვის**, მაიორ **ბუდარინის**, მაიორ **გორბატენკოს**, კაპიტან **სტერლიკოვის**, კაპიტან **ეფრემოვის** ტანკისტებმა; პოლკოვნიკ **კაგანის**, პოლკოვნიკ **პეშაკოვის**, მაიორ **შლიჩკოვის**, მაიორ **მაზალოვის**, მაიორ **მოისეენკოს**, მაიორ **მიციკის** არტილერისტებმა; ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ **პოლინინის**, პოლკოვნიკ **მირონოვის**, პოლკოვნიკ **ტიმოფეევის**, პოლკოვნიკ **გრაშჩენკოვის**, პოლკოვნიკ **სუხორიაბოვის**, პოდპოლკოვნიკ **გავრილჩენკოს**, მაიორ **ფადინის** მფრინავებმა; პოდპოლკოვნიკ **ლევინის**, მაიორ **ჩისტიაკოვის**, მაიორ **ბოიკოს**, კაპიტან **პიატჩინის** მესანგრეებმა; პოლკოვნიკ **ბელენკოს**, პოდპოლკოვნიკ **იგნატიევის**, მაიორ **ულიანენკოს**, კაპიტან **მიხტუნეცის** მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი ქალაქ და ციხე-სიმაგრე **დემბლინის** დაკავებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან „**დემბლინის**“ სახელწოდების მისანიჭებლად და ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 26 ივლისს, 23 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი **მოსკოვი** სამშობლოს სახელით ორას ოცდაოთხი ქვემეხის ოცი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს **ბელორუსიის** 1-ლი ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც დაიკავეს ქალაქი **დემბლინი**.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის **მადლობას ვუცხადებ** თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ქალაქ **დემბლინის** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1944 წლის 26 ივლისი.

ორდენებისა და მედლების გადაცემა

26 ივლისს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს სხდომის დარბაზში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. გ. თ. სტურუამ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მინდობილობით ორდენები და მედლები გადასცა დაჯილდოებულთ.

ლენინის ორდენი წარმომადგენლების — ამხ. რონდელი-ცაგარეიშვილის, მაჭავარიანისა და ზაქარიძის მეშვეობით გადაეცა მხატვრული ფილმების თბილისის კინოსტუდიას, რომელიც დაჯილდოებულია თვალსაჩინო მხატვრული კინოსურათების გამოშვებისათვის.

შემდეგ ორდენები და მედლები მიიღო მხატვრული ფილმების თბილისის კინოსტუდიის მუშაკთა ჯგუფმა, რომელიც დაჯილდოებული არის სამამულო ომის დღეებში საბჭოთა კინემატოგრაფიის დარგში წარმატებითი მუშაობისა და მაღალმხატვრული კინოსურათების გამოშვებისათვის.

შრომის წითელი დროშის ორდენი მიიღეს კომპოზიტორმა, კინოსურათ „გიორგი სააკაძის“ მუსიკის ავტორმა ა. მ. ბალანჩივაძემ და მსახიობმა, კინოსურათ „გიორგი სააკაძეში“ შადიმანის როლის შემსრულებელმა ს. ა. ზაქარიაძემ.

წითელი ვარსკვლავის ორდენი გადაეცა კინომსახიობ ზ. ფ. ანდრეევს, კინოსურათ „გიორგი სააკაძის“ კინოოპერატორ ა. დ. დიღმელოვს, სსრ კავშირის სახალხო არტისტს, კინოსურათ „გიორგი სააკაძეში“ სააკაძის როლის შემსრულებელს ა. ა. ხორავას, რომელიც წინათ დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით.

„საპატიო ნიშნის“ ორდენი მიიღეს რეჟისორის ასისტენტმა ვ. ვ. დოლენკომ, კინოსტუდიის მხატვარმა ვ. პ. კაპლუნოვსკიმ, რეჟისორმა, კინოსტუდიის პარტიული კომიტეტის მდივანმა დ. ე. რონდელმა-ცაგარეიშვილმა, კინოსტუდიის წარმოების უფროსმა ე. ს. ხაჩიძემ, კინოსურათ „გიორგი სააკაძის“ დირექტორმა ვ. ს. ცირღილაძემ.

მედალი „შრომითი წარჩინებისათვის“ გადაეცა კინოსტუდიის გამნათებელთა ბრიგადირს გ. ო. ფარსადანოვს.

ორდენებისა და მედლების გადაცემის შემდეგ ამხ. გ. თ. სტურუამ გულითადად მიულოცა დაჯილდოებულთ მთავრობის მაღალი ჯილდოების მიღება და უსურვა ახალი წარმატებანი მუშაობაში.

დაჯილდოებულთა სახელით სიტყვები წარმოსთქვეს მხატვრული ფილმების თბილისის კინოსტუდიის დირექტორმა ამხ. ვ. გ. მაჭავარიანმა და სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ამხ. ა. ა. ხორავამ. (საქდესი).

ბრძანება

უმაღლესი მთავარსარდლისა

გენერალ-პოლკოვნიკ ზახაროვს

ბელორუსიის მე-2 ფრონტის ჯარებმა ორი დღის ბრძოლების შემდეგ დღეს, 27 ივლისს, იერიშით დაიკავეს ქალაქი და დიდი სამრეწველო ცენტრი **ბელოსტოკი** — დიდმნიშვნელოვანი სარკინიგზო კვანძი და გერმანელთა თავდაცვის მძლავრი გამაგრებული რაიონი, რომელიც იფარავს **ვარშავისაკენ** მიმავალ გზას.

ქალაქ **ბელოსტოკის** დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-პოლკოვნიკ **გორბატოვის**, გენერალ-მაიორ **ურბანოვიჩის**, გენერალ-მაიორ **ჩუვაკოვის**, გენერალ-მაიორ **კუზნეცოვის**, პოლკოვნიკ **ტელკოვის**, პოლკოვნიკ **ვერიოვკინის**, გენერალ-მაიორ **კუბასოვის**, პოლკოვნიკ **კონოვალოვის**, გენერალ-მაიორ **პანჩუკის**, პოლკოვნიკ **მიხალიცინის**, გენერალ-მაიორ **ნიკიტინის**, გენერალ-მაიორ **მასლოვის**, გენერალ-მაიორ **მოხინის**, პოლკოვნიკ **ბრეკოვის**, გენერალ-მაიორ **იაკიმოვიჩის** ჯარებმა; არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ **სოკოლსკის**, არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ **სემიონოვის**, არტილერიის გენერალ-მაიორ **დეგტიარევის**, პოლკოვნიკ **მედვედევის**, პოლკოვნიკ **ბიჩეკის**, პოლკოვნიკ **კანდიდატოვის**, პოლკოვნიკ **დერგაჩის**, პოლკოვნიკ **აირაპეტოვის**, პოლკოვნიკ **კილეევის**, პოლკოვნიკ **სიროვატკინის**, პოდპოლკოვნიკ **ვოიცეხოვსკის**, პოდპოლკოვნიკ **უშაკოვის**, პოდპოლკოვნიკ **გოროდნიჩის**, მაიორ **ალიმბაევის**, მაიორ **პოპლავსკის**, პოდპოლკოვნიკ **მურინოვის**, პოდპოლკოვნიკ **მაკარიევის**, პოდპოლკოვნიკ **იასკევიჩის**, პოლკოვნიკ **კორიტკოს**, პოდპოლკოვნიკ **კოვალევიჩის**, მაიორ **პროსკურინის**, პოლკოვნიკ **დრაპკოს**, პოდპოლკოვნიკ **მოსკალევის** არტილერისტებმა; სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ **შირობოკოვის**, პოლკოვნიკ **აპარინოვის**, პოდპოლკოვნიკ **ზირკოს**, მაიორ **ვედეხინის**, მაიორ **პლაქსინის**, პოდპოლკოვნიკ **რძიშვილის** ტანკისტებმა; ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკ **ვერშინინის**, ავიაციის გენერალ-მაიორ **ბეტმანის**, პოლკოვნიკ **სმოლოვიკის**, პოლკოვნიკ **ვუსის**, პოლკოვნიკ **ვოლკოვის**, პოდპოლკოვნიკ **პოკაევას**, პოდპოლკოვნიკ **კაზაჩენკოს**, პოდპოლკოვნიკ **ბარდეევის**, პოდპოლკოვნიკ **ელისეევის** მფრინავებმა; საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ **ბლაგოსლავოვის**, საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ **ჟილინის**, პოლკოვნიკ **არციშევსკის**, პოლკოვნიკ **შიტიკოვის**, პოდპოლკოვნიკ **სიტკოვის**, პოლკოვნიკ **მატოჩკინის**, მაიორ **კოჟინის** მესანგრეებმა; კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-მაიორ **მიშინის**, პოდპოლკოვნიკ **ბრონსკის**, პოდპოლკოვნიკ **კურაკოვის**, პოდპოლკოვნიკ **ხილჩენკოს**, პოდპოლკოვნიკ **შაპოვალოვის**, პოდპოლკოვნიკ **კურტუკოვის**, პოლკოვნიკ **ხომიაკოვის**, მაიორ **ჟარიკოვის** მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი ქალაქ **ბელოსტოკის** დაკავებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან „**ბელოსტოკის**“ სახელწოდების მისანიჭებლად და ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 27 ივლისს, 20 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი **მოსკოვი** სამშობლოს სახელით ორას ოცდაოთხი ქვემეხის ოცი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს **ბელორუსიის** მე-2 ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც დაიკავეს ქალაქი **ბელოსტოკი**.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის **მადლობას ვუცხადებ** თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ქალაქ **ბელოსტოკის** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1944 წლის 27 ივლისი.

ბრძანება

უმაღლესი მთავარსარდლისა

არმიის გენერალ ერიომენკოს

ბალტიისპირეთის მე-2 ფრონტის ჯარებმა, რომლებიც შეტევას ავითარებენ, დღეს, 27 ივლისს, იერიშით დაიკავეს ქალაქები **დაუგავპილსი** (**დვინსკი**) და **რეზეკნე** (**რეჟიცა**) — დიდმნიშვნელოვანი სარკინიგზო კვანძები და გერმანელთა თავდაცვის მძლავრი დასაყრდენი პუნქტები **რიგის** მიმართულებით.

ქალაქების **დაუგავპილსისა** და **რეზეკნეს** დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ **მალიშევის**, გენერალ-ლეიტენანტ **კაზაკოვის**, გენერალ-ლეიტენანტ **კოროტკოვის**, გენერალ-ლეიტენანტ **იუშკევიჩის**, გენერალ-მაიორ **სოლდატოვის**, გენერალ-მაიორ **არტიუშენკოს**, გენერალ-მაიორ **მიხაილოვის**, გენერალ-მაიორ **კლეშნინის**, გენერალ-მაიორ **ბრანტკალნის**, გენერალ-მაიორ **ფედიუნკინის**, გენერალ-ლეიტენანტ **ნოვოსელსკის**, გენერალ-მაიორ **ხორუჟენკოს**, გენერალ-მაიორ **ვახრამეევის**, პოლკოვნიკ **პერევერტკინის**, პოლკოვნიკ **არტამონოვის**, პოლკოვნიკ **ფედოროვის**, გენერალ-მაიორ **ვვედენსკის**, გენერალ-მაიორ **ჩინოვის**, პოლკოვნიკ **ვლადიმიროვის**, პოლკოვნიკ **ტოროპჩინის**, პოლკოვნიკ **კალნინის**, გენერალ-მაიორ **მოსკალიკის**, გენერალ-მაიორ **კულეშოვის**, გენერალ-მაიორ **გრიბოვის**, გენერალ-მაიორ **სტუჩენკოს**, პოლკოვნიკ **მაკარიევის**, პოლკოვნიკ **მოსკალენკოს**, პოლკოვნიკ **ბოლტრუჩუკის**, პოლკოვნიკ **ტიმოშენკოს**, პოლკოვნიკ **კოვალენკოს** ჯარებმა; არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ **ნიჩკოვის**, არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ **ნესტერენკოს**, არტილერიის გენერალ-მაიორ **შალუნოვის**, არტილერიის გენერალ-მაიორ **ნესტერუკის**, არტილერიის გენერალ-მაიორ **ხარლამოვის**, არტილერიის გენერალ-მაიორ **კულიკოვის**, არტილერიის გენერალ-მაიორ **ალექსანდროვის**, პოლკოვნიკ **ლებედევის**, პოლკოვნიკ **ბიკო-იანკოს**, პოლკოვნიკ **სოკოლოვის**, პოლკოვნიკ **პისარევის**, პოლკოვნიკ **პეტრენკოს**, პოლკოვნიკ **სერდობოლსკის** არტილერისტებმა; სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ **ჩერნიავსკის**, პოლკოვნიკ **ფილიპოვის**, პოლკოვნიკ **ლებედევის**, პოლკოვნიკ **ნიკოლაევის**, გენერალ-მაიორ **სახნოს**, პოლკოვნიკ **იუდინოვის**, მაიორ **კორნევის** ტანკისტებმა; ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ **ნაუმენკოს**, ავიაციის გენერალ-მაიორ **რუბანოვის**, ავიაციის გენერალ-მაიორ **დანილოვის**, პოლკოვნიკ **ლიტვინოვის**, პოლკოვნიკ **ტრუშკინის**, პოლკოვნიკ **კორპუსოვის**, პოლკოვნიკ **ვოევოდინის**, პოდპოლკოვნიკ **შჩენიკოვის** მფრინავებმა; საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ **პილიპეცის**, საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ **რაზვოზოვის**, საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ **კრისანოვის**, პოლკოვნიკ **სოკოლოვის**, პოდპოლკოვნიკ **ბელოზერცევის**, პოლკოვნიკ **ლეშჩევის** მესანგრეებმა; კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-მაიორ **პანინის**, კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-მაიორ **ლაგოდიუკის**, კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-მაიორ **დენისოვის**, პოლკოვნიკ **აკიმოვის**, პოდპოლკოვნიკ **მალენკოს**, მაიორ **კიანოვის** მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი ქალაქების **დაუგავპილსისა** (**დვინსკი**) და **რეზეკნეს** (**რეჟიცა**) დაკავებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან „**დვინსკის**“ და „**რეჟიცის**“ სახელწოდების მისანიჭებლად და ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 27 ივლისს, 22 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი **მოსკოვი** სამშობლოს სახელით ორას ოცდაოთხი ქვემეხის ოცი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს **ბალტიისპირეთის** მე-2 ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც დაიკავეს ქალაქები **დაუგავპილსი** და **რეზეკნე**.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის **მადლობას ვუცხადებ** თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ქალაქების **დაუგავპილსისა** და **რეზეკნეს** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1944 წლის 27 ივლისი.

ბრძანება

უმაღლესი მთავარსარდლისა

საბჭოთა კავშირის მარშალ კონევს

უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარებმა, ფრონტალურ იერიშთან შეხამებული შემოვლითი მანევრის შედეგად, დღეს, 27 ივლისს, დაიკავეს უკრაინის საოლქო ცენტრი ქალაქი **სტანისლავი** — დიდი სარკინიგზო კვანძი და გერმანელთა თავდაცვის დიდმნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტი **კარპატების** მთისძირებში.

ქალაქ **სტანისლავის** დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-პოლკოვნიკ **გრეჩკოს**, გენერალ-ლეიტენანტ **შევერდინის**, გენერალ-მაიორ **ლაზკოს**, გენერალ-მაიორ **აფონინის**, გენერალ-მაიორ **ვოროჟიშჩევის**, გენერალ-მაიორ **დრემინის**, გენერალ-მაიორ **პოდშივაილოვის**, პოლკოვნიკ **პახომოვის**, პოლკოვნიკ **გერასიმოვის**, პოლკოვნიკ **იანკოვსკის**, პოლკოვნიკ **კოჩენოვის**, პოლკოვნიკ **ივანჩურის** ჯარებმა; არტილერიის გენერალ-მაიორ **ბრიჩენოკის**, პოლკოვნიკ **ნოვიკოვის**, პოლკოვნიკ **ვოროზბიოვის**, პოლკოვნიკ **ბროზგოლის**, არტილერიის გენერალ-მაიორ **ჟიბურკუსის**, პოდპოლკოვნიკ **ნიკულინის**, პოდპოლკოვნიკ **პონომარცევის**, პოდპოლკოვნიკ **შელესტის**, პოდპოლკოვნიკ **ტერეხინის**, მაიორ **კარტაშევის**, მაიორ **ლოსკუტოვის**, მაიორ **პისმერნოვის**, მაიორ **კოვალის** არტილერისტებმა; სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ **რაიკინის**, პოდპოლკოვნიკ **სტრელეცკის** ტანკისტებმა; ავიაციის გენერალ-მაიორ **ვიტრუკის**, პოლკოვნიკ **კუდრიაშოვის**, მაიორ **ვოიცეკაიტესის**, მაიორ **მუსატოვის**, მაიორ **როსმოტროვის**, პოდპოლკოვნიკ **სერიკოვის**, პოდპოლკოვნიკ **მარკოვცევის** მფრინავებმა; საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ **ტუპიჩევის**, პოლკოვნიკ **ასტაპოვის**, მაიორ **შიშოვის**, მაიორ **ვორონოვის** მესანგრეებმა; პოლკოვნიკ **ბელიანჩიკის**, პოდპოლკოვნიკ **ჟიცის**, პოდპოლკოვნიკ **მიშინის**, მაიორ **მარტინოვის** მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი ქალაქ **სტანისლავის** დაკავებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან „**სტანისლავის**“ სახელწოდების მისანიჭებლად და ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 27 ივლისს, 21 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი **მოსკოვი** სამშობლოს სახელით ორას ოცდაოთხი ქვემეხის ოცი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს **უკრაინის** 1-ლი ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც დაიკავეს ქალაქი **სტანისლავი**.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის **მადლობას ვუცხადებ** თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ქალაქ **სტანისლავის** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1944 წლის 27 ივლისი.

ბრძანება

უმაღლესი მთავარსარდლისა

საბჭოთა კავშირის მარშალ კონევს

უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარებმა, სატანკო შენაერთებისა და ქვეითი ჯარის უნარიანი შემოვლითი მანევრის შედეგად, დღეს, 27 ივლისს, ორი დღის ბრძოლების შემდეგ, იერიშით დაიკავეს უკრაინის დიდმნიშვნელოვანი სამეურნეო-პოლიტიკური ცენტრი და საოლქო პუნქტი **ლვოვი** — დიდი სარკინიგზო კვანძი და გერმანელთა თავდაცვის სტრატეგიულად დიდმნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტი, რომელიც იფარავს პოლონეთის სამხრეთის რაიონებისაკენ მიმავალ გზებს.

ქალაქ **ლვოვის** დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-პოლკოვნიკ **რიბალკოს**, სატანკო ჯარების გენერალ-პოლკოვნიკ **ლელიუშენკოს**, სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ **ნოვიკოვის**, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ **ბელოვის**, სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ **აკიმოვის**, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ **მიტროფანოვის**, სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ **სუხოვის**, პოლკოვნიკ **დოროპეის**, პოდპოლკოვნიკ **ტაბელევის**, პოდპოლკოვნიკ **ბოგუნოვის**, პოდპოლკოვნიკ **ილიუშინის**, პოლკოვნიკ **გუდიმოვის**, პოლკოვნიკ **პარხომენკოს**, პოლკოვნიკ **სმირნოვის**, პოდპოლკოვნიკ **ლიუბარის**, პოდპოლკოვნიკ **კოსტინის**, მაიორ **დრაგუნოვის** ტანკისტებმა; გენერალ-პოლკოვნიკ **მოსკალენკოს**, გენერალ-პოლკოვნიკ **კუროჩკინის**, გენერალ-მაიორ **გრიგოროვიჩის**, გენერალ-მაიორ **ოზიმინის**, გენერალ-ლეიტენანტ **ბონდარევის**, გენერალ-მაიორ **ბუშევის**, გენერალ-მაიორ **შმიგოს**, გენერალ-მაიორ **კუზოვკოვის**, გენერალ-მაიორ **სარაევის**, პოლკოვნიკ **კოსოლაპოვის**, პოლკოვნიკ **კუჩერენკოს**, გენერალ-მაიორ **სტენინის**, გენერალ-მაიორ **ზუბოვის**, პოლკოვნიკ **ფედოსენკოს**, პოლკოვნიკ **კრასავინის**, გენერალ-მაიორ **მიშჩენკოს**, გენერალ-მაიორ **გუსევის**, პოლკოვნიკ **ელინის**, პოლკოვნიკ **ვასილევსკის**, პოლკოვნიკ **კორკინის**, გენერალ-მაიორ **კისელევის** ჯარებმა; არტილერიის გენერალ-პოლკოვნიკ **ვარენცოვის**, არტილერიის გენერალ-მაიორ **იაროვოის**, არტილერიის გენერალ-მაიორ **პოლოსუხინის**, პოლკოვნიკ **მენტიუკოვის**, არტილერიის გენერალ-მაიორ **კაბატჩიკოვის**, პოლკოვნიკ **ოგანესიანის**, არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ **კოროლკოვის**, პოლკოვნიკ **ზინტოვის**, პოლკოვნიკ **შევჩენკოს**, პოლკოვნიკ **ჩუპროვის**, პოლკოვნიკ **ვოროზბიოვის**, პოლკოვნიკ **დობრინსკის**, პოლკოვნიკ **პოროვატკინის**, პოლკოვნიკ **ბორისოვის**, არტილერიის გენერალ-მაიორ **ვოლკენშტეინის**, პოლკოვნიკ **კულიკოვის**, პოლკოვნიკ **კოლესნიჩევის**, პოლკოვნიკ **კოფანოვის**, პოლკოვნიკ **ტიტენკოს**, პოლკოვნიკ **ჩუვალის**, პოლკოვნიკ **ბარსოევის**, პოლკოვნიკ **კოზლოვის** არტილერისტებმა; ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკ **კრასოვსკის**, ავიაციის გენერალ-მაიორ **სამოხინის**, ავიაციის გენერალ-მაიორ **პოლბინის**, ავიაციის გენერალ-მაიორ **არხანგელსკის**, ავიაციის გენერალ-მაიორ **ბალუნოვის**, ავიაციის გენერალ-მაიორ **უტინის**, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ **ნანეიშვილის**, ავიაციის გენერალ-მაიორ **გოლოვნიას**, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ **რიაზანოვის**, პოლკოვნიკ **ჩუკის**, პოლკოვნიკ **ანისიმოვის**, პოლკოვნიკ **სემენკოს**, პოდპოლკოვნიკ **ბისტროვის** მფრინავებმა; საინჟინრო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ **გალიცკის**, პოლკოვნიკ **ალექსეევის**, პოლკოვნიკ **სერებრიაკოვის**, პოლკოვნიკ **რევიაკინის**, პოდპოლკოვნიკ **ბონდარევის** მესანგრეებმა; კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-ლეიტენანტ **ბულიჩევის**, პოლკოვნიკ **ოსტრენკოს**, პოლკოვნიკ **ტარუნინის**, მაიორ **ერემეევის** მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი ქალაქ **ლვოვის** დაკავებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან „**ლვოვის**“ სახელწოდების მისანიჭებლად და ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 27 ივლისს, 23 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი **მოსკოვი** სამშობლოს სახელით ორას ოცდაოთხი ქვემეხის ოცი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს **უკრაინის** 1-ლი ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც დაიკავეს ქალაქი **ლვოვი**.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის **მადლობას ვუცხადებ** თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ქალაქ **ლვოვის** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1944 წლის 27 ივლისი.

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
არმიის გენერალ ბაგრამიანს

ბალტიისპირეთის 1-ლი ფრონტის ჯარებმა, სატანკო შენაერთებისა და ქვეითი ჯარის სწრაფი დარტყმის შედეგად, დღეს, 27 ივლისს, დაიკავეს ქალაქი შაულიაი (შავლი)—კომუნიკაციების დიდი კვანძი, რომელიც ბალტიისპირეთს აღმოსავლეთ პრუსიასთან აკავშირებს.

ქალაქ შაულიაის დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ ობუხოვის, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ როდიონოვის, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ ასლანოვის, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ სკორნიაკოვის, პოლკოვნიკ კრემერის, პოლკოვნიკ გორიაჩევის, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ იუდინის, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ ბელის ტანკისტებმა; გენერალ-ლეიტენანტ კრეიზერის, გენერალ-ლეიტენანტ ჩანჩიბაძის, გენერალ-მაიორ ბაკუნინის, გენერალ-ლეიტენანტ მისანის, გენერალ-მაიორ როჟდესტვენსკის, გენერალ-მაიორ ტოლსტოვის, გენერალ-მაიორ პოტაპენკოს, გენერალ-მაიორ ბობრაკოვის, გენერალ-მაიორ სამოხვალოვის, პოლკოვნიკ კულიაკოს ჯარებმა; არტილერიის გენერალ-პოლკოვნიკ ხლებნიკოვის, არტილერიის გენერალ-მაიორ ტელეგინის, არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ სტრელბიცკის, არტილერიის გენერალ-მაიორ ბაჟანოვის არტილერისტებმა; ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ პაპივინის, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ ბელეცკის, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ უშაკოვის, ავიაციის გენერალ-მაიორ ივანოვის მფრინავებმა; საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ კოსარევის, საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ ბაჟენოვის, საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ ბრინზოვის მესანგრეებმა; კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-მაიორ ბაბკინის, კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-მაიორ კოკორინის, პოლკოვნიკ ჩერნოვის მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი ქალაქ შაულიაის (შავლის) დაკავებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან „შავლის“ სახელწოდების მისანიჭებლად და ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 27 ივლისს, 24 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი სამშობლოს სახელით ორას ოცდაოთხი ქვემეხის ოცი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს ბალტიისპირეთის 1-ლი ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც დაიკავეს ქალაქი შაულიაი.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის მადლობას ვუცხადებ თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ქალაქ შაულიაის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1944 წლის 27 ივლისი.

ხელმოწერა შეთანხმებისა საბჭოთა კავშირის მთავრობასა და პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტს შორის პოლონეთის ტერიტორიაზე საბჭოთა ჯარების შესვლის შემდეგ საბჭოთა მთავარსარდლისა და პოლონეთის ადმინისტრაციის ურთიერთობის შესახებ

უკანასკნელი დღეების განმავლობაში სსრ კავშირის მთავრობასა და პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტს შორის სწარმოებდა მოლაპარაკება პოლონეთის ტერიტორიაზე საბჭოთა ჯარების შესვლის შემდეგ საბჭოთა მთავარსარდლისა და პოლონეთის ადმინისტრაციის ურთიერთობის შესახებ შეთანხმების დადების საკითხზე.

ამ მოლაპარაკების შედეგად, რომელიც გულწრფელობისა და მეგობრული ურთიერთგაგების ატმოსფეროში სწარმოებდა, 26 ივლისს მოსკოვში ხელმოწერილ იქნა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობისა და პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის შეთანხმება პოლონეთის ტერიტორიაზე საბჭოთა ჯარების შესვლის შემდეგ პოლონეთის ადმინისტრაციისა და საბჭოთა მთავარსარდლის ურთიერთობის შესახებ.

შეთანხმება ხელმოწერილია კრემლში სსრ კავშირის მთავრობის რწმუნებით საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ ამხ. ვ. მ. მოლოტოვის მიერ და პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის რწმუნებით კომიტეტის თავმჯდომარისა და საგარეო საქმეთა განყოფილების ხელმძღვანელის ე. ბ. ოსუბკა-მორავსკის მიერ.

შეთანხმების ხელმოწერას დაესწრნენ სსრ კავშირის მხრივ: სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ი. ბ. სტალინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. ა. ი. ვიშინსკი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი ამხ. ა. პ. პავლოვი, გენერალი გ. ს. ჟუკოვი.

პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის მხრივ შეთანხმების ხელმოწერას დაესწრნენ: თავმჯდომარის მოადგილე და მიწათმოქმედების განყოფილებისა და აგრარული რეფორმის ხელმძღვანელი ა. ვიტოსი, ნაციონალური თავდაცვის განყოფილების ხელმძღვანელი გენერალ-პოლკოვნიკი მ. როლია-ჟიმერსკი, შრომის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფისა და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების ხელმძღვანელი დოქტორი ბ. დრობნერი.

ქვემოთ მოგვყავს შეთანხმების ტექსტი.

შეთანხმება
საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობასა და პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტს შორის პოლონეთის ტერიტორიაზე საბჭოთა ჯარების შესვლის შემდეგ საბჭოთა მთავარსარდლისა და პოლონეთის ადმინისტრაციის ურთიერთობის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ და პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტმა, რომლებსაც სურთ, რომ პოლონეთის ტერიტორიაზე საბჭოთა ჯარების შესვლის შემდეგ საბჭოთა მთავარსარდლისა და პოლონეთის ადმინისტრაციის ურთიერთობა პოლონეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე გადაწყვეტილ იქნას მეგობრობის სულისკვეთებით, დასდეს ეს შეთანხმება შემდეგზე:

მუხლი 1

პოლონეთის ტერიტორიაზე საომარი ოპერაციების ზონაში, საბჭოთა ჯარების შესვლის შემდეგ, უმაღლესი ძალაუფლება და პასუხისმგებლობა ყველა საქმეში, რაც ომის წარმოებას შეეხება, საომარი ოპერაციების განხორციელებისათვის საჭირო დროის განმავლობაში საბჭოთა ჯარების მთავარსარდლის ხელში იქნება.

მუხლი 2

მტრისაგან განთავისუფლებულ პოლონეთის ტერიტორიაზე პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტი:

ა) ჰქმნის და ხელმძღვანელობს, პოლონეთის რესპუბლიკის კანონების თანახმად, ამ რესპუბლიკის მიერ დაწესებულ ადმინისტრაციის ორგანოებს;

ბ) ახორციელებს პოლონეთის ჯარის შემდგომი ორგანიზაციის, ფორმირებისა და დაკომპლექტების ღონისძიებებს;

გ) უზრუნველჰყოფს პოლონეთის ადმინისტრაციის ორგანოების აქტიურ ხელშეწყობას საბჭოთა მთავარსარდლისადმი წითელი არმიის მიერ საომარი ოპერაციების განსახორციელებლად და პოლონეთის ტერიტორიაზე ყოფნის განმავლობაში, მის მოთხოვნილებათა და საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

მუხლი 3

პოლონეთის სამხედრო ნაწილები, რომლებიც ყალიბდებიან სსრ კავშირის ტერიტორიაზე, იმოქმედებენ პოლონეთის ტერიტორიაზე.

მუხლი 4

კავშირი საბჭოთა მთავარსარდალსა და პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტს შორის განხორციელებულ იქნება პოლონეთის სამხედრო მისიის მეშვეობით.

მუხლი 5

უშუალო საომარი მოქმედების ზონაში კავშირი პოლონეთის ადმინისტრატიულ ორგანოებსა და საბჭოთა მთავარსარდალს შორის განხორციელებულ იქნება პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის რწმუნებულის მეშვეობით.

მუხლი 6

როგორც კი პოლონეთის განთავისუფლებული ტერიტორიის რომელიმე ნაწილი აღარ იქნება უშუალო საომარი ოპერაციების ზონა, პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტი მთლიანად აიღებს თავის თავზე სამოქალაქო მმართველობის ყველა საქმის ხელმძღვანელობას.

მუხლი 7

ყველა ის პირნი, რომელნიც ეკუთვნიან საბჭოთა ჯარებს, პოლონეთის ტერიტორიაზე დაექვემდებარებიან საბჭოთა მთავარსარდლის იურისდიქციას. ყველა ის პირნი, რომელნიც ეკუთვნიან პოლონეთის შეიარაღებულ ძალებს, დაექვემდებარებიან პოლონეთის სამხედრო კანონებსა და წესდებებს. ამ იურისდიქციას დაექვემდებარება აგრეთვე სამოქალაქო მოსახლეობაც პოლონეთის ტერიტორიაზე, იმ შემთხვევებშიც კი, როცა ეს ეხება საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულს, საომარი ოპერაციების ზონაში ჩადენილ დანაშაულთა გამოკლებით, რომლებიც ექვემდებარება საბჭოთა მთავარსარდლის იურისდიქციას. სადავო შემთხვევებში იურისდიქციის საკითხი გადაიჭრება საბჭოთა მთავარსარდლისა და პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის რწმუნებულის ურთიერთ თანხმობით.

მუხლი 8

საბჭოთა ჯარებისა და პოლონეთის შეიარაღებული ძალების ერთობლივი საომარი მოქმედების მთელი დროის განმავლობაში პოლონეთის შეიარაღებული ძალები ოპერატიულად დაექვემდებარებიან სსრ კავშირის უმაღლეს სარდლობას, ხოლო ორგანიზაციისა და პირადი შემადგენლობის საქმეებში — პოლონეთის შეიარაღებულ ძალთა მთავარსარდლობას.

მუხლი 9

საფინანსო-სამეურნეო საკითხებზე, რომლებიც შეეხება პოლონეთის ტერიტორიაზე საბჭოთა ჯარების ყოფნას, აგრეთვე რომლებიც შეეხება პოლონეთის შეიარაღებულ ძალებს, რომლებიც სსრ კავშირის ტერიტორიაზე ყალიბდებიან, მიღწეულ იქნება განსაკუთრებული შეთანხმება.

მუხლი 10

ეს შეთანხმება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე. შეთანხმება შედგენილია ორ ეგზემპლარად, თვითეული რუსულ და პოლონურ ენებზე. ორივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვს.

მოსკოვი, 1944 წლის 26 ივლისი.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობის რწმუნებით
ვ. მოლოტოვი

პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის რწმუნებით
ე. ოსუბკა-მორავსკი

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
26 ივლისის ოპერატიული ცნობა

ლენინგრადის ფრონტის ჯარებმა, რომლებიც შეტევაზე გადავიდნენ ნარვის რაიონში, გაარღვიეს მოწინააღმდეგის ძლიერ გამაგრებული, ღრმად ეშელონირებული თავდაცვა და, მარჯვე შემოვლითი მანევრისა და ფრონტალური იერიშის შედეგად, 26 ივლისს შტურმით დაიკავეს ქალაქი და ციხე სიმაგრე ნარვა, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 20 დასახლებული პუნქტი და მათ შორის ნარვა-იიესუ, მეტსკი, მერეკიულია, პუხკოვა, ვოდავა, პოემურუ, კრენჰოლმი, უდრია, სამოკრასი და რკინიგზის სადგურები სალდინო-იამი, აუვერე.

ქალაქ ფსკოვის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა ბრძოლებით დაიკავეს 30 დასახლებული პუნქტი, მათ შორის პოდგრამიე, ზარეჩიე, გნილინო, შეველევო, უსადიშჩე, პორტოვიკი, ერლიკი, რესავა და რკინიგზის სადგური კუპრავა.

ქალაქ პანევეჟისის ჩრდილო-დასავლეთით და სამხრეთით ჩვენი ჯარები ეწეოდნენ შეტევით ბრძოლებს, რომელთა მსვლელობაშიც დაიკავეს 150-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები მეშკადაუკისი, პუშალოტასი, კატკუნი, როზალინი, სმილგი, შადოვი, ბეინაროვო, ვოდოკტი, კრაკინოვო და რკინიგზის სადგურები ბერჩუნაი, ბუსტონისი, დოპისონაი, ლაბა, ბერნატონიაი, სკაისგირისი, მედიკონიაი, პუშალოტასი, ვაიტკუნაი.

ბელორუსიის 1-ლი ფრონტის ჯარებმა, სატანკო შენაერთებისა და ქვეითი ჯარის სწრაფი იერიშის შედეგად, შტურმით დაიკავეს დიდი სარკინიგზო კვანძი და გერმანელთა თავდაცვის მძლავრი დასაყრდენი პუნქტი მდინარე ვისლაზე—ქალაქი და ციხე სიმაგრე დემბლინი (ივანგოროდი), აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 100-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის ქალაქი ბიალა პოდლიასკა, ქალაქი პულავი, დიდი დასახლებული პუნქტები საროკომლია, კოცკი, ლისობიკი, მიხუვი, ბარანუვი, ბაზანუვი, რიკი, ბალტუვი, ოსინი, კლემენტოვიცე და რკინიგზის სადგურები ბიალა პოდლიასკა, რიკი, სტავი, გოლომბ, ვულკა-პროფეცკა, პულავი, კლემენტოვიცე, ნალენჩუვი. ჩვენმა ჯარებმა ტყვედ წამოიყვანეს ქალაქ ლიუბლინის კომენდანტი გენერალ-ლეიტენანტი მოზერ ჰილმარი.

ქალაქ ზამოსტიეს ჩრდილო-დასავლეთით და დასავლეთით ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ და ბრძოლებით დაიკავეს 80-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები ნემენიცე, პიასკი შლიახეცკე, იზბიცა, ველონჩა, ზამოისკე, ტუჟინეცი, კორიტკუვი, დომოსტოვა, იასტკოვიცე, ულიანუვი და რკინიგზის სადგურები იზბიცა, რუსკე პიასკი, ზავადა, კლემენსუვი.

ლვოვის რაიონში ჩვენი ჯარები ბრძოლებს ეწეოდნენ მოწინააღმდეგის გარშემორტყმული ჯარების მოსასპობად.

სტანისლავის მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა წარმატებითი შეტევა განავითარეს და დაიკავეს სტანისლავის ოლქის რაიონული ცენტრები ქალაქები ბურშტინი, ტლუმაჩი, ტისმენიცა, ნადვორნაია, დელიატინი, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 100-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები ჩაგრუვი, მედინია, სტუძიანკა, ვოლჩინეცი, ჩერნეიუვი, ვოლოსუვი, პარიშჩი, ზაჟეჩე და რკინიგზის სადგურები მარტინუვი, ბურშტინი, ბედნარუვი, პაველჩე, იამნიცა, ტისმენიცა, ხრიპლინი, ტისმენიჩანი, ცუცილუვი, ნადვორნაია, დელიატინი, ლანჩინი.

ფრონტის სხვა უბნებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

25 ივლისის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 88 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 35 თვითმფრინავი.

* * *

ჩვენმა ავიაციამ დაბომბა რკინიგზის კვანძები ტილზიტი და ვარშავა

25 ივლისს ღამით ჩვენმა ავიაციამ დაბომბა მოწინააღმდეგის ჯარის ეშელონები და სამხედრო საწყობები ტილზიტისა და ვარშავის სარკინიგზო კვანძებზე.

ტილზიტის სარკინიგზო კვანძზე ბომბების პირდაპირი მოხვედრებით დამტვრეულია გერმანელთა ოთხი სამხედრო ეშელონი. აფეთქებულია საომარი მასალის საწყობი და საწვავის საწყობი. დაბომბვის შედეგად გაჩნდა 40-მდე ხანძარი, რომლებიც რკინიგზის კვანძის მთელ ტერიტორიას მოედო. სამიზნიდან წამოსვლისას ხანძრებს ხედავდნენ 150 კილომეტრ მანძილიდან.

ვარშავის სარკინიგზო კვანძის დაბომბვის შედეგად გაჩნდა ხანძრები, რომლებსაც თან ახლდა აფეთქებანი. იწვოდა სარკინიგზო შემადგენლობები. მეთვალყურეებმა განსაკუთრებით დიდი ხანძრები შენიშნეს რკინიგზის ლიანდაგებზე ვარშავის გარეუბან პრაგაში.

27 ივლისის ოპერატიული ცნობა

27 ივლისის განმავლობაში ქალაქ ფსკოვის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ და დაიკავეს ლენინგრადის ოლქის რაიონული ცენტრი პალკინო, აგრეთვე დაიკავეს 40-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის გავრილოვა, კრასნოდუდოვო, ბუნდინო, დოქტი, ტრულევა, ბრიზჟავა, ბალტინავა.

ბალტიისპირეთის მე-2 ფრონტის ჯარებმა, რომლებიც შეტევას ავითარებდნენ, 27 ივლისს იერიშით დაიკავეს გერმანელთა თავდაცვის მძლავრი დასაყრდენი პუნქტები — ქალაქები და დიდმნიშვნელოვანი სარკინიგზო კვანძები დაუგავპილსი (დვინსკი) და რეზეკნე (რეჟიცა), აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 400-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები ბუხალავა, კაპრანი, ბერებალე, ბარავაია, კალუპე, ლიკსნასი და რკინიგზის სადგურები მეჟვიდი, [illegible], მალტა, ტვეცენი, აგლონა, არდავა, ვაზანტი, ვიშტი, კუდრაინე, ნიცგალე.

ბალტიისპირეთის 1-ლი ფრონტის ჯარებმა, სატანკო შენაერთებისა და ქვეითი ჯარის სწრაფი დარტყმის შედეგად, 27 ივლისს დაიკავეს ქალაქი და დიდი სარკინიგზო კვანძი შაულიაი (შავლი), აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 150-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები იოგანიშკელი, პოკროი, კლევანი, ლიგუმაი, კიაუტი, შაპლაგი, კაირე, რაძივილიშკი, ლიაუდიშკი, ბეისაგოლა, პოცუნელი და რკინიგზის სადგურები შადოვი, ლინკაიცი, რაძივილიშკი, შილიანი, მეკე, ბეისაგოლა, სკემი.

ბელორუსიის მე-2 ფრონტის ჯარებმა, ორი დღის ბრძოლების შემდეგ, 27 ივლისს იერიშით დაიკავეს ქალაქი და დიდი სამრეწველო ცენტრი ბელოსტოკი—დიდმნიშვნელოვანი სარკინიგზო კვანძი და გერმანელთა თავდაცვის მძლავრი გამაგრებული რაიონი, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 30-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები ვასილკოვო, ვისოკი, სტაროსელცი, სლობოდა, სოლნიკი, ჟუკი.

ბრესტის მიმართულებით ჩვენი ჯარები შეტევით ბრძოლებს ეწეოდნენ, რომელთა მსვლელობაშიც დაიკავეს 50-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები რასნა, კუსტინი, მოტიკალი, ზაგლოცე, დობრინ დუჟე, დერეჩანკა, კოლჩინი, ზაჩოპკი, როკიტნო, ლიპნიცა და რკინიგზის სადგურები ლიშჩიცე, კამენკა.

ქალაქ ლიუბლინის ჩრდილოეთითა და დასავლეთით ჩვენი ჯარები წარმატებით შეტევას ავითარებდნენ და დაიკავეს ქალაქები მენდზიჟეცი, ჟელეხუვი, გარვოლინი, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 200-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები შანიავი, დომბე, ოსინი, ცეხომინი, სობოლევი, ოპოლე და რკინიგზის სადგურები შანიავი, დოლნე, კშივდა, ოკშეია, ლესპელდუვი. ჩვენი ჯარები ბრძოლებს ეწეოდნენ ქალაქ სედლეცის ქუჩებში.

ქალაქ ზამოსტიეს დასავლეთით ჩვენი ჯარები შეტევით ბრძოლებს ეწეოდნენ, რომელთა მსვლელობაშიც დაიკავეს ქალაქები ტურობინი, იანუვი, კრასნიკი, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 250-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები კოსაჟევი, ბელჩევი, ტარნავკა, დრაგანი, ტოკარი, გოძიშუვი, ვეჟხოვისკა.

ქალაქ ლიუბაჩევის დასავლეთით ჩვენი ჯარები ეწეოდნენ წარმატებით შეტევით ბრძოლებს პლაცდარმების გასაფართოებლად მდინარე სანის დასავლეთ ნაპირზე და დაიკავეს ქალაქები რუდნიკი, ლეჟაისკი, სოკოლუვი, პშევორსკი, რადიმნო, აგრეთვე დაიკავეს 300-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები ნისკო, ეჟოვე, კამენი, ვოლია ზარჩიცკა, ნენადუვკა, მედინია, რაკშავა, კანჩუგა, ტრუხნიკ-მიასტო, როკეტნიცა, ჟურავიცა და რკინიგზის სადგურები ნისკო, რუდნიკი, ლენტოვნია, საჟინა, ლეჟაისკი, ზროძისკო, პშევურსკი, პელკინე, რადიმნო.

უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარებმა, რომლებიც წარმატებით შეტევას ანვითარებდნენ, 27 ივლისს დაიკავეს დიდი სარკინიგზო კვანძი და გერმანელთა თავდაცვის სტრატეგიულად დიდმნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტი—უკრაინის დიდი სამეურნეო-პოლიტიკური ცენტრი საოლქო ქალაქი ლვოვი, დიდი სარკინიგზო კვანძი და გერმანელთა თავდაცვის დიდმნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტი კარპატების მთისძირებში—უკრაინის საოლქო ცენტრი ქალაქი სტანისლავი, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 200-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის ლვოვის ოლქის რაიონული ცენტრები ქალაქები ვინიკი და ბობრკა, სტანისლავის ოლქის რაიონული ცენტრები ქალაქები ბუკაჩევცი, ლისეცი, ბოგოროდჩანი და კალუში, დიდი დასახლებული პუნქტები ვოლოშინოვა, ოტშელისკაა ნოვაია, ლეშჩინი, დულიბი, ზაგურეჩკო, ვიშნიუვი, ჩერნიუვი, პოხუვკა, გოროხოლინა, სტარუნია, პასეჩნა და რკინიგზის სადგურები ჟურავნო-ნოვოსელცე, ჩერნიუვი, ბუკაჩევცი, კალუში, პასეჩნა.

ფრონტის სხვა უბნებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

26 ივლისის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 131 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 42 თვითმფრინავი.

* * *

ჩვენი ავიაციის მასირებული თავდასხმა სარკინიგზო კვანძ ტილზიტზე

26 ივლისს ღამით ჩვენი ავიაცია მასირებულად დაესხა თავს სარკინიგზო კვანძ ტილზიტს (აღმოსავლეთი პრუსია). დაბომბვის შედეგად ათობით ხანძარი გაჩნდა, იწვოდა ვაგონები და პლატფორმები, აგრეთვე მოწინააღმდეგის სამხედრო საწყობები. ბომბების პირდაპირი მოხვედრებით აფეთქებულ იქნა გერმანელთა 5 სამხედრო ეშელონი. ხანძრებს თან ახლდა აფეთქებანი, რომლებიც განსაკუთრებით ძლიერი იყო სარკინიგზო კვანძის სამხრეთ-დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილში. ხანძრების ალს ჩვენი მფრინავები სამიზნიდან გამობრუნებისას 200 კილომეტრის მანძილზე ხედავდნენ.

* * *

ბალტიისპირეთის მე-2 ფრონტის ჯარებმა იერიშით დაიკავეს ქალაქი დაუგავპილსი (დვინსკი). გერმანელები ქალაქის ხანგრძლივი დაცვისათვის მოემზადნენ. ქალაქს მათ შემოარტყეს სანგრების, ტანკსაწინააღმდეგო თხრილების ხაზები, ჩაჰყარეს ბოძკინტები, მოაწყეს რამდენიმე რიგი მავთულღობურები. გერმანიის სარდლობამ დვინსკში თავი მოუყარა მნიშვნელოვან ძალებს და უბრძანა დაეცვათ ქალაქი მისი თუნდაც სრული გარშემორტყმის შემთხვევაში. თანმიმდევრული დარტყმებით საბჭოთა ტანკისტებმა და ქვეითებმა გადასჭრეს დვინსკ-რიგის გზატკეცილი და მდინარე ზაპადნაია დვინას მიადგნენ. მოწინააღმდეგის ყველა ცდა აღედგინა თავისი დარღვეული კომუნიკაციები მარცხით დამთავრდა. დღეს დილით ჩვენმა ჯარებმა გაარღვიეს გერმანელთა მძლავრი თავდაცვა და მტრის კვალდაკვალ ქალაქში შეიჭრნენ. გააფთრებული ბრძოლების შედეგად დაუგავპილსი მთლიანად გაწმენდილია ჰიტლერელებისაგან. ქალაქისათვის ბრძოლებში საბჭოთა ჯარებმა გაანადგურეს გერმანელთა სამი ქვეითი დივიზიის ნაწილები, სს-ელთა ორი პოლკი და პოლიციელთა პოლკი.

* * *

ბალტიისპირეთის 1-ლი ფრონტის ჯარები წარმატებით შეტევას ავითარებდნენ. საბჭოთა სატანკო შენაერთებმა მოახდინეს 70-კილომეტრიანი გადასვლა მოწინააღმდეგის ზურგში და გადასჭრეს შაულიაი-რიგის რკინიგზა და გზატკეცილი, აგრეთვე ტილზიტისაკენ მიმავალი გზები. საბჭოთა ქვეითმა ჯარმა, რომელიც მოძრავ შენაერთებს მიჰყვებოდა, მოსპო გერმანელთა გარნიზონები დიდ დასახლებულ პუნქტებში — რაძივილიშკში, შაპლაგში, კაირეში. საბჭოთა ქვეითებმა და ტანკისტებმა მტერს გონს მოსვლის საშუალება არ მისცეს, სამი მხრიდან შეიჭრნენ ქალაქ შაულიაიში და გაანადგურეს გერმანელთა გარნიზონი. მოსპობილია 2,000-მდე ჰიტლერელი. ქალაქ შაულიაიში საბჭოთა ჯარებმა ხელთ იგდეს დიდი დავლა—მოძრავი შემადგენლობა, სამხედრო საწყობები და დიდძალი საჭურველი. ტყვედ წამოყვანილია 400-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

ბელორუსიის მე-2 ფრონტის ჯარები წარმატებით შეტევას განაგრძობდნენ. გუშინდელი დღის ბოლოსათვის საბჭოთა ჯარებმა განდევნეს ჰიტლერელები ბელოსტოკის გარეუბნებიდან და შეიჭრნენ ქალაქში აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან. როცა ჩვენი მებრძოლები უკვე ქალაქის ცენტრში გაიჭრნენ, გერმანელებმა უკანასკნელად სცადეს ეხსნათ მდგომარეობა და ბრძოლაში გამოიყვანეს მუშტად შეკრული თავიანთი სატანკო და ქვეითი ნაწილები. ქუჩაში გაჩაღებულ გააფთრებულ ბრძოლაში საბჭოთა ჯარებმა გაანადგურეს მოწინააღმდეგე და დილისათვის მთლიანად დაიკავეს ქალაქი ბელოსტოკი. მოწინააღმდეგის დამარცხებული შენაერთების ნაშთები შეჯგუფდნენ მდინარეების სუპრასლისა და ნარევის გადასასვლელებთან. საბჭოთა მფრინავებს განუწყვეტლივ მიაქვთ იერიშები უკანდახეული გერმანელების წინააღმდეგ. ბრძოლების ერთი დღის განმავლობაში მოსპობილია მოწინააღმდეგის 2,500 ჯარისკაცი და ოფიცერი. ჩვენმა ჯარებმა ბელოსტოკში ხელთ იგდეს მრავალი ტანკი, ქვემეხი, ავტომანქანა, ორთქლმავალი და ვაგონი, დიდი საწყობები საომარი მასალიანად, სურსათიანად და სამხედრო ქონებიანად. დიდი რაოდენობით წამოყვანილია ტყვეები.

* * *

უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარებმა იერიშით დაიკავეს ქალაქი ლვოვი. ლვოვის რაიონში გარშემორტყმული მოწინააღმდეგის ჯარები განადგურებულია. გერმანელთა ერთიმეორისაგან იზოლირებულ ცალკეულ ნაწილებს საბჭოთა ნაწილები სპობენ ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთით და დასავლეთით მდებარე რაიონებში. ბრძოლების ადგილები მოფენილია ჰიტლერელთა გვამებით, დამსხვრეული ტექნიკითა და მოწინააღმდეგის მიერ მიტოვებული საჭურვლით. მარტო ერთ უბანზე საბჭოთა მებრძოლებმა დასწვეს და დააზიანეს 40 ტანკი, ხელთ იგდეს 70 ქვემეხი და 1,000-ზე მეტი ტყვე.

ჩვენი ნაწილები, რომლებმაც ქალაქი გალიჩი დაიკავეს, სწრაფი ნახტომით მიადგნენ ქალაქ კალუშს და მოწინააღმდეგეს ჩრდილო-დასავლეთისაკენ დასახევი გზა მოუჭრეს. საბჭოთა ჯარების ჯგუფმა, რომელიც სტანისლავის სამხრეთით უტევს, [illegible] შემოვლითი მანევრით გადასჭრა გზატკეცილი, რომელიც მოწინააღმდეგის განკარგულებაში რჩებოდა. შემდეგ გვარდიის ნაწილებმა მტერს გადამწყვეტი დარტყმა აგემეს ჩრდილო-აღმოსავლეთიდან. ჩვენმა ჯარებმა გასტეხეს მტრის წინააღმდეგობა და დაიკავეს ქალაქი სტანისლავი. მოწინააღმდეგის დამარცხებული ნაწილები პანიკით შეპყრობილნი ტყეებით იხევენ უკან დასავლეთის მიმართულებით, კარპატებისაკენ.

I რანგის კაპიტან კ. დ. სუხიაშვილის და სამედიცინო სამსახურის პოლკოვნიკ გ. ა. ზედგინიძის დაჯილდოება

(მოსკოვი, „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან)

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულია სამხედრო-საზღვაო ფლოტის ოფიცერთა, ზემდეგთა და ნებით დაქირავებულთა შემადგენლობის დიდი ჯგუფი. მათ შორის სამამულო ომის I ხარისხის ორდენით დაჯილდოებულია 1-ლი რანგის კაპიტანი **კონსტანტინე დავითის-ძე სუხიაშვილი**, წითელი ვარსკვლავის ორდენით — სამედიცინო სამსახურის პოლკოვნიკი **გიორგი არტემის-ძე ზედგინიძე**.

მტკიცდება სსრ კავშირისა და პოლონეთის ხალხთა საბრძოლო მეგობრობა

„პრავდაში“ დღეს გამოქვეყნებული შეთანხმება საბჭოთა კავშირის მთავრობასა და პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტს შორის. პოლონეთის ტერიტორიაზე საბჭოთა ჯარების შესვლის შემდეგ საბჭოთა მთავარსარდალსა და პოლონეთის ადმინისტრაციას შორის ურთიერთობის შესახებ წარმოადგენს დიდმნიშვნელოვან ისტორიულ დოკუმენტს, რომელიც მოასწავებს ახალ სახელოვან ნიშანსვეტს სსრ კავშირისა და პოლონეთის ხალხებს შორის მეგობრობისა და საბრძოლო თანამეგობრობის განვითარებასა და განმტკიცებაში.

შეთანხმება ხელმოწერილ იქნა სსრ კავშირის მთავრობასა და პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტს შორის გულითადი და მეგობრული ურთიერთგაგების ატმოსფეროში ჩატარებული მოლაპარაკების შედეგად. შეთანხმებას საბჭოთა მთავრობის სახელით ხელს აწერს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. ვ. მ. მოლოტოვი, ხოლო პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის სახელით კომიტეტის თავმჯდომარე და საგარეო საქმეთა განყოფილების ხელმძღვანელი ე. ბ. ოსუბკა-მორავსკი.

შეთანხმების ხელმოწერას დაესწრნენ სსრ კავშირის მხრივ: სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ი. ბ. სტალინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. ა. ი. ვიშინსკი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი ამხ. ა. პ. პავლოვი, გენერალი გ. ს. ჟუკოვი. პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის მხრივ დაესწრნენ: თავმჯდომარის მოადგილე და მიწათმოქმედებისა და აგრარული რეფორმის განყოფილების ხელმძღვანელი ა. ვიტოსი, ნაციონალური თავდაცვის განყოფილების ხელმძღვანელი გენერალ-პოლკოვნიკი მ. როლია-ჟიმერსკი, შრომის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფისა და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების ხელმძღვანელი დ-რი ბ. დრობნერი.

შეთანხმების განმასხვავებელი თვისება მდგომარეობს იმაში, რომ იგი ყოველმხრივ უზრუნველჰყოფს რა საბჭოთა და პოლონელი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობას საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში, იმავე დროს ითვალისწინებს პოლონური ადმინისტრაციის დაუყოვნებლივ შემოღებას ჰიტლერული ოკუპაციისაგან განთავისუფლებულ პოლონეთის ტერიტორიაზე. შეთანხმების 1-ლ მუხლში ნათქვამია, რომ „საომარი ოპერაციების ზონაში უმაღლესი ძალაუფლება და პასუხისმგებლობა ყველა საქმეში, რაც ომის წარმოებას შეეხება, საომარი ოპერაციების განხორციელებისათვის საჭირო დროის განმავლობაში საბჭოთა ჯარების მთავარსარდლის ხელში იქნება“. მე-2 მუხლი განსაზღვრავს პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის საქმიანობას, რომელიც ჰქმნის და ხელმძღვანელობს ადმინისტრაციის ორგანოებს, ახორციელებს პოლონეთის ჯარის შემდგომი ორგანიზაციის, ფორმირებისა და დაკომპლექტების ღონისძიებებს, უზრუნველჰყოფს პოლონეთის ადმინისტრაციის ორგანოების აქტიურ ხელშეწყობას საბჭოთა მთავარსარდლისადმი წითელი არმიის მიერ საომარი ოპერაციების განსახორციელებლად და პოლონეთის ტერიტორიაზე ყოფნის განმავლობაში მის მოთხოვნილებათა და საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

პოლონელი ხალხი თავისი მიწა-წყლის ბატონ-პატრონი ხდება ჰიტლერული სიბილწისაგან მისი განთავისუფლებისთანავე. „როგორც კი პოლონეთის განთავისუფლებული ტერიტორიის რომელიმე ნაწილი აღარ იქნება უშუალო საომარი ოპერაციების ზონა,— ნათქვამია შეთანხმების მე-6 მუხლში, — პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტი მთლიანად აიღებს თავის თავზე სამოქალაქო მმართველობის ყველა საქმის ხელმძღვანელობას“.

სსრ კავშირის მთავრობასა და პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტს შორის 26 ივლისს ხელმოწერილი შეთანხმება დამყარებულია შეთანხმების დამდები ორივე მხარის დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის პატივისცემის პრინციპზე. შეთანხმებას თვითეული მუხლი სავსებით შეესაბამება პოლონეთისადმი საბჭოთა კავშირის დამოკიდებულების შესახებ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის განცხადების სულსა და არსს. ახალი შეთანხმება ნათლად ცხადჰყოფს საბჭოთა ხალხის უცვლელ ნება-სურვილს ყოველმხრივი ძმური დახმარება გაუწიოს პოლონელ ხალხს ჰიტლერული უღლისაგან განთავისუფლებისათვის, ძლიერი და თავისუფალი, დამოუკიდებელი და დემოკრატიული პოლონეთის შექმნისათვის წარმოებულ მის ბრძოლაში.

პოლონელი ხალხი ამჟამად სასიხარულო დღეებს განიცდის. ძლევამოსილი წითელი არმიის მძლავრი დარტყმებით, წითელი არმიისა, რომლის გვერდითაც იბრძვიან პოლონეთის ჯარის სახელოვანი ჯარისკაცები, ინგრევა გერმანელთა თავდაცვა, ჰიტლერული ტყვეობისაგან თავისუფლდება პოლონეთის მიწა-წყალი. ხორციელდება წინასწარმეტყველური სიტყვები ამხანაგ სტალინისა, რომელიც თავის 1944 წლის 1 მაისის ბრძანებაში აღნიშნავდა, რომ მტრის დევნისას „ჩვენ უნდა გავათავისუფლოთ გერმანული ტყვეობიდან ჩვენი ძმები პოლონელები, ჩეხოსლოვაკები და ჩვენი მოკავშირე სხვა ხალხები დასავლეთ ევროპისა, რომლებიც ჰიტლერული გერმანიის ქუსლქვეშ იმყოფებიან“.

ამჟამინდელ ისტორიულ მომენტში ხელმოწერილ შეთანხმებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. იგი კიდევ უფრო მეტად განამტკიცებს სსრ კავშირისა და პოლონეთის ხალხთა შორის მეგობრობას, რომელიც განმათავისუფლებელი ბრძოლის ცეცხლში გამოიწრთო. არ შეიძლება დავივიწყოთ ის, რომ ამჟამად სხვანაირად შენდება ურთიერთობა საბჭოთა და პოლონელ ხალხებს შორის. ყოფილი კონფლიქტები სამუდამოდ ბარდება წარსულს. პოლონელი ხალხი საბჭოთა კავშირს უყურებს სხვა თვალით, ვიდრე იგი უყურებდა მეფის რუსეთს, იმიტომ რომ პოლონელმა ხალხმა იცის: საბჭოთა კავშირის სახით მას საიმედო მეგობარი ჰყავს. მეორე მხრივ, პოლონეთიც სხვანაირი გახდა. ჰიტლერული ავაზაკური იმპერიალიზმის წინააღმდეგ სასტიკ და ძნელ ბრძოლაში იბადება ახალი პოლონეთი, ძლიერი, თავისუფალი, დემოკრატიული, საბჭოთა კავშირისადმი მეგობრულად განწყობილი პოლონეთი, რომელიც წითელ არმიაში ხედავს განმათავისუფლებელ არმიას, არმიას მოძმე ხალხისას, რომელიც პოლონელ ხალხთან ისტორიულად ერთი ბედით არის დაკავშირებული.

26 ივლისს ხელმოწერილი შეთანხმება უზრუნველჰყოფს სსრ კავშირისა და პოლონეთის რესპუბლიკის საბრძოლო თანამეგობრობისა და თანამშრომლობის ზრდას საერთო მტრის წინააღმდეგ, გერმანიის ავაზაკური იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. სსრ კავშირსა და პოლონეთს შორის დადებული შეთანხმება წარმოადგენს ძვირფას განძს ყველა თავისუფლებისმოყვარეულ ხალხთა ანტიჰიტლერული კოალიციის საერთო საქმეში, იმიტომ რომ იგი აახლოებს გერმანიის ფაშისტური არმიების სრული განადგურების ჟამს, მთელი კაცობრიობის უბოროტეს მტერზე, ჰიტლერულ გერმანიაზე სრული გამარჯვების დღეს.

„პრავდის“ 27 ივლისის მოწინავე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვარდიის გენერალი პორფილე ჩანჩიბაძე

> **ჩვენი ოფიცრები და გენერლები უნარიანად ხელმძღვანელობენ ჯარებს, წარმატებით ეუფლებიან ჯარების წინამძღოლობის ხელოვნებას.**
>
> **ი. სტალინი**



ზევიდან ქვევით, 1. სტალინური გვარდიის გენერალი პ. გ. ჩანჩიბაძე სათვალთვალო წერტიდან თვალყურს ადევნებს ჩვენი არტილერიის დაშენას მტრის პოზიციებზე. 2. გენერალი ჩანჩიბაძე სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით ორდენებსა და მედლებს გადასცემს სევასტოპოლისათვის ბრძოლებში სახელმოხვეჭილ მებრძოლებსა და მეთაურებს. 3-4. გმირი ქალაქის განთავისუფლების შემდეგ ჩანჩიბაძემ მიიღო ჯარების პარადი და სიტყვით მიმართა მამაც გვარდიელებს. 5. კორპუსის სარდალი ოფიცრებთან ერთად ათვალიერებს ჩვენი ჯარების ნადავლს სევასტოპოლის ერთ-ერთ მოედანზე. 6. აუცდენლად ურტყამდა გერმანელ ფაშისტებს ეს საბჭოთა ტყვიამფრქვევი.



ზევიდან ქვევით, 1. გენერალი ჩანჩიბაძე კორპუსის შტაბის უფროსთან ერთად ეცნობა ბრძოლის მსვლელობას სევასტოპოლის მისადგომებზე. 2. მორიგ საბრძოლო დავალებას იღებენ სახელოვანი მეთაურები. 3-4. გენერალი ჩანჩიბაძე ბრძოლის პირობებშიც მიუთითებს მებრძოლებს მტკიცედ დაიცვან ქუდის დახურვის მხედრული წესი. 5. ჩანჩიბაძე თავის ოფიცრებთან ერთად დგას განთავისუფლებული სევასტოპოლის ქუჩაზე. 6. გენერალი სიყვარულით ეალერსება გმირი ქალაქის ნორჩ მოქალაქეს, სამამულო ომის დღეებში დაბადებულ ბავშვს.

კადრები ამოღებულია კინონარკვევიდან „გენერალ ჩანჩიბაძის გვარდიელები“, რომელიც გადაიღეს თბილისის ლენინის ორდენოსანი კინოსტუდიის ქრონიკის კინოოპერატორებმა სამგზის ორდენოსნებმა ლ. არზუმანოვმა და გ. ასათიანმა.

შრიალებდნენ სევასტოპოლის ნატყვიარი ჩინარები. მაისის ლაჟვარდი გადაჰფენოდა ყირიმის ცას. წყნარად ღელავდა ზღვა. ხანძრის კვამლი ამოდიოდა სამხრეთის ყურედან. ჯერ კიდევ ბოლავდა ახლახან განთავისუფლებული გმირი ქალაქი. იწვოდა სანაპიროს ნაგებობანი.

ეს იყო 10 მაისს. წინადღით კი ბრძოლით შედიოდნენ ქალაქში ძლევამოსილი საბჭოთა არმიები. გამარჯვებას ზეიმობდა მთელი ქვეყანა. ეთერს მოჰქონდა დიდი მარშალის ბრძანება და მოსკოვის ზარბაზნების სასიხარულო გრგვინვა. ისმოდა სამას ოცდაოთხი ქვემეხის ოცდაოთხი საარტილერიო ზალპი. სალუტს აძლევდა სევასტოპოლის განმათავისუფლებელ ჯარებს სამშობლოს დედაქალაქი.

სტალინის ბრძანებაში, უკრაინის მე-4 ფრონტის სხვა სახელოვან მეთაურთა შორის, ნახსენები იყო გენერალ-ლეიტენანტი ჩანჩიბაძე. სამამულო ომში ნაწრთობმა ქართველმა გენერალმა კიდევ დაიმსახურა უმაღლესი მთავარსარდლის მაღალი შეფასება.

* * *

სევასტოპოლში ერთ-ერთი პირველი შევიდა ჩანჩიბაძის გვარდიული კორპუსი. ქალაქში კვლავ ტკაცუნებდნენ ავტომატები. სასოწარკვეთილი მტერი გაშმაგებით ებღაუჭებოდა თვითეულ სახლს, ქუჩას, მაგრამ ამაოდ. მისი ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. გერმანელები გარბოდნენ. ვინც გემზე ასვლა მოასწრო, ზღვაში ჩასძირეს ხომალდებთან ერთად. ვინც ცოცხალი გადარჩა, იარაღს ყრიდა და ტყვედ გვბარდებოდა. ბევრი რუმინეთში გაპარვას ლამობდა ფიცრულის ტივებით! ჩანჩიბაძის გვარდიელებს ზღვის სანაპიროსთან დახვდათ გერმანელთა ეს უცნაური „კრეისერები“. მათ სასაცილოდ არ ჰყოფნიდათ დამარცხებული მტრის ეს ცდა. მალე ტივები ზღვის ზედაპირზე დარჩნენ თოლიების „აეროდრომად“, გერმანელები კი ზღვის ფსკერზე დაეშვნენ „დასასვენებლად“.

* * *

ტალღებზე ირწეოდნენ გერმანელთა მიტოვებული ნავები. თითქოს ქარიშხალი ჩადგაო, სიწყნარემ დაისადგურა შტურმის შემდეგ. განთავისუფლებას დღესასწაულობდა სევასტოპოლი. სდუმდნენ გმირი ქალაქის მისადგომები. სდუმდნენ ნაომარი საპუნ-გორა და მეკენზის მთები. სდუმდა ყუმბარებით დასეტყვილი ბრძოლის ველი, მაგრამ არ სდუმდა სევასტოპოლი. 10 მაისს გენერალ-ლეიტენანტმა ჩანჩიბაძემ, როგორც ქალაქის პირველმა კომენდანტმა და გარნიზონის უფროსმა, გასცა ბრძანება—სევასტოპოლში აენთოთ შუშხუნები.

ღამდა... მთვარის შუქი ლივლივებდა ომგადახდილ ქალაქზე. ვარსკვლავებიც ნაზად კიაფობდნენ, მაგრამ არაფერი ისე არ ხიბლავდა თვალსა და გულს, როგორც იმ ღამის ფეერიული სანახაობა. ქალაქში ჰქუხდნენ გამარჯვებულთა ზარბაზნები. თითქოს ასიათასი ღურაჯი ერთად აფრინდაო, ისე გაჰქონდა შხუილი ცაში ავარდნილ ფერად შუშხუნებს. ეთერში სკდებოდა მაშხალები. ზეიმობდა რუსეთის ფლოტის დიდება და სიამაყე — სევასტოპოლი. ამ ზეიმის ერთ-ერთი თაოსანი იყო გენერალ-ლეიტენანტი პორფილე გიორგის-ძე ჩანჩიბაძე.

* * *

ცხოვრებისა და ბრძოლის შესანიშნავი გზა განვლო სამშობლოს ამ მგზნებარე პატრიოტმა. იგი რიგითი წითელარმიელი იყო, ახლა კი სტალინური გვარდიის ნაცადი გენერალია.

სკოლის კედლებში იბადებოდა ნატვრა—ოდესმე გამხდარიყო წითელი არმიის მეთაური. ოცნება სინამდვილედ ექცა. ოზურგეთის საშუალო სასწავლებლის დამთავრებისთანავე პორფილე მოხალისედ შევიდა წითელ არმიაში. პირველად დანაყოფის უმცროს მეთაურად ითვლებოდა. რვა წლის შემდეგ ის უკვე ბატალიონის მეთაურია. სამხედრო ხელოვნებას ეუფლებოდა მრავალი ორდენის მომავალი კავალერი.

ხასანის ტბასთან მოხდა მისი საბრძოლო ნათლობა. თავზარს სცემდა იაპონელ სამურაებს ჩანჩიბაძის ბატალიონი. მტრისაგან გაიწმინდა ზაოზერნაიას და ბეზიმიანნაიას მაღლობები. გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის ჩანჩიბაძე დააჯილდოვეს წითელი ვარსკვლავის ორდენით. ეს იყო პირველი ორდენი მის ვაჟკაცურ მკერდზე.

* * *

დაიწყო დიდი სამამულო ომი. სამშობლოს ემუქრებოდა დასავლეთიდან მოვარდნილი ქარიშხალი. ცეცხლში ბოლავდა აყვავებული უკრაინის მიწა. იხანძრებოდა ბელორუსია. წინ მოიწევდა გააფთრებული ფაშისტი მხეცი. იმ მრისხანე დღეებში ჩანჩიბაძე 107-ე მოტომსროლელ დივიზიას მეთაურობდა. ბრძოლაში იწრთობოდა შეუპოვარი პოლკოვნიკი.

სმოლენსკის ოლქში, მდინარე ოტრასთან, მან პირველსავე ბრძოლაში დაამარცხა გერმანელთა რჩეული სატანკო დივიზია „სს“. გაბოროტებულმა მტერმა ამის შემდეგ იქ დიდძალ საბრძოლო ტექნიკას მოუყარა თავი და სამაგიეროს გადახდა მოიწადინა. გარემოცვაში მოჰყვა ჩანჩიბაძის დივიზია. მთელი ოცდარვა დღე გრძელდებოდა უსასტიკესი შეტაკება მტრის ახალ მაშველ ძალებთან. დივიზიამ ბრძოლით გაარღვია გარემოცვის რკალი და მთელი საჭურვლით შეუერთდა საბჭოთა ჯარებს ფრონტის მოწინავე ხაზზე.

გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა მოსკოვის მისადგომებზე. მტერი ლამობდა ხელთ ეგდო ჩვენი სამშობლოს გული. ჩანჩიბაძის დივიზიამ მიიღო უმაღლესი სარდლობის დავალება — სწრაფად მოქცეულიყო მტრის ზურგში, მოწინააღმდეგისათვის გადაეჭრა დედაქალაქისკენ მიმავალი გზები, აეფეთქებინა მტრის ეშელონები... დივიზიამ ბრწყინვალედ შეასრულა დასახული ამოცანა. კლინისა და ე. წ. მოსკოვის ზღვის რაიონში მან სასტიკი ბრძოლა გაუმართა მტერს, უდიდესი ზარალი მიაყენა ტექნიკისა და ცოცხალი ძალის მხრივ. ამ ოპერაციის დროს პოლკოვნიკი ჩანჩიბაძე სამ დივიზიას ხელმძღვანელობდა.

იერიშზე გადავიდა წითელი არმია. მტერმა იგემა ჩვენი დარტყმების უბადლო ძალა. მოსკოვის მისადგომებზე დაიწყო გერმანელთა ურდოების განადგურება. სარდლობამ ჩანჩიბაძის 107-ე მოტომსროლელ დივიზიას დაუსახა მორიგი ამოცანა — კვლავ შეჭრილიყო მტრის ზურგში და ქ. ვიაზმასთან გადაეჭრა ავტოსტრადა მოსკოვი—მინსკი.

ოთხი თვე გაატარა დივიზიამ მტრის ღრმა ზურგში. მას უაღრესად რთულ პირობებში უხდებოდა უთანასწორო ბრძოლა მტრის ჭარბ ძალებთან. იგი მუდამ გამარჯვებული რჩებოდა, ზედიზედ აფეთქებდა მატარებლებს, ხიდებს, გზებსა და საწყობებს, საშუალებას არ აძლევდა მტერს დამატებითი მაშველი ჯარები გადაესროლა ფრონტის ხაზზე. ათასობით გაწყვეტილი გერმანელით და მტრის დიდძალი სამხედრო საჭურვლის განადგურებით აღინიშნება მისი ბრძოლა მტრის ზურგში.

107-ე მოტომსროლელ დივიზიას გვარდიის მე-2 მოტომსროლელი დივიზია ეწოდა. პოლკოვნიკ ჩანჩიბაძეს კი—გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება მიენიჭა.

* * *

1942 წლის შემოდგომა იყო. მტერი გაშმაგებით უტევდა სტალინგრადს. ჰიტლერელები ცდილობდნენ ჩვენი სამშობლოსათვის მოეწყვიტათ ვოლგის გასაღები. გოლიათივით ფლეთდა დრაკონებს დევგმირი ქალაქი. სტალინგრადთან გატყდა გერმანიის არმიის მთავარი ხერხემალი. სასიკვდილო რკალში მოემწყვდა ფელდმარშალ პაულიუსის მე-6 არმია.

იმ დღეებში ფრონტის ფრიად დაძაბულ უბანზე იბრძოდა ჩანჩიბაძის მე-2 მოტომსროლელი გვარდიული დივიზია. კოტელნიკოვის რაიონში მან გზა გადაუღობა მტერს, სასტიკი ბრძოლა გაუმართა საშველად დაძრულ ფელდმარშალ მანშტეინის ჯარებს. დივიზიამ აქტიური მონაწილეობა მიიღო სტალინგრადთან გარშემორტყმულ გერმანელთა დაჯგუფების განადგურებაში.

* * *

იწყება სახელოვანი გენერლის ახალი საბრძოლო გზა. ჩანჩიბაძე ინიშნება გვარდიული კორპუსის მეთაურად. უკვე შორს დარჩა სტალინგრადი. შეტევაზე გადასული წითელი არმია მტერს მიერეკებოდა დასავლეთისაკენ. ჩანჩიბაძის დივიზიები პირველნი შევიდნენ ნოვოჩერკასკში. გრძელდებოდა მტრის კვალდაკვალ დევნა. მოწინააღმდეგე ცდილობდა ჩვენი არმიების შეტევის შეკავებას მდინარე მიუსზე. ჩანჩიბაძის კორპუსი არღვევდა ძლიერ გამაგრებულ ზღუდეებს. მდინარეებზე მიუსზე და კარმიუსზე საბრძოლო ოპერაციების წარმატებით ჩატარების შემდეგ ჩანჩიბაძეს მიენიჭა გენერალ-ლეიტენანტის სამხედრო წოდება.

* * *

მტრის კლანჭებისაგან თავისუფლდებოდა დონბასი. ძლევამოსილი ბრძოლებით მიიწევდა წინ სახელოვანი წითელი არმია. ჩანჩიბაძის გვარდიულმა კორპუსმა, სხვა შენაერთებთან ერთად, სამშობლოს დაუბრუნა ქალაქები: ილოვაისკი, სტალინო, კახოვკა... მან ცხარე ბრძოლით გაიარა მთელი დონბასი, საბჭოთა დროშა ააფრიალა უკრაინის მრავალ ქალაქსა და ათასობით დასახლებულ პუნქტზე.

მეტად ეშინოდა გერმანელთა სარდლობას ჩანჩიბაძის გვარდიული კორპუსისა. ქ. ხერსონის მისადგომებზე ბრძოლის დროს გერმანელი მფრინავები „მესერშმიტებიდან“ ჰყრიდნენ პროკლამაციებს: „არ დაემორჩილოთ გენერალ ჩანჩიბაძეს. ახლანდელი შეტევით მას თქვენ დაღუპვისაკენ მიჰყავხართ“.

მტრის ამ პროკლამაციიდანაც ჩანს, თუ რაოდენ სახიფათოდ მიაჩნდა გერმანელთა სარდლობას ჩანჩიბაძის კორპუსის საბრძოლო ოპერაციები. ამ შემთხვევაში მტერი არ შემცდარა, ასე რომ ეშინოდა გენერალ ჩანჩიბაძისა.

* * *

სამამულო ომის ფრონტებზე ახალი გამარჯვებებით მოვიდა ჩვენს ქვეყანაში 1944 წლის გაზაფხული. დაიწყო შტურმი პერეკოპზე. დაიძრა ცეცხლის არნახული ნიაღვარი. შეტევაზე გადავიდნენ უკრაინის მე-4 ფრონტის ჯარები. დადგა ყირიმის განთავისუფლების დაუვიწყარი დღეები. მტერს არ სურდა საბჭოთა კავშირის ამ თვალმარგალიტის ხელიდან გაშვება, მაგრამ რა შეაჩერებდა დიდი მიწიდან დაძრულ ქარიშხალს!..

უკრაინის სხვა ფრონტების არმიები ამ დროს რუმინეთის მიწაწყალზე იბრძოდნენ. კარპატების მთებთან მიდიოდა ფრონტის ხაზი. გერმანელები ცდილობდნენ, რადაც არ უნდა დასჯდომოდათ, მაინც შეენარჩუნებინათ ყირიმის პლაცდარმი. მათ ყოველმხრივ გაამაგრეს ისედაც ბუნებრივი სიმაგრე — ყირიმის ჭიშკარი — პერეკოპი. ორი წლის ბატონობის მანძილზე მტერმა აქ ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით ააგო რკინა-ბეტონის ურიცხვი ნაგებობა, კლდეებში გამოჰკვეთა ასობით საცეცხლე წერტი... ნაღმების არსენალს წარმოადგენდა პერეკოპის ვიწრო ყელი.

გერმანელებს ვერც კი წარმოედგინათ, თუ პერეკოპის მიუვალ სიმაგრეთა გარღვევა შეიძლებოდა. ამ სიმაგრეთა იმედით ჰიტლერული არმიის უმაღლესი ოფიცრობა ცოლებსაც იწვევდა გერმანიიდან იალტისა და ალუშტის ვილებში დასასვენებლად.

იმედი არ გაუმართლდათ. აპრილის შუა რიცხვებში უკრაინის მე-4 ფრონტის ჯარებმა მედგარი შტურმით გაარღვიეს პერეკოპისა და იშუნის უძლიერესი სიმაგრენი. დაიწყო მარში სამხრეთისაკენ. ჩანჩიბაძის გვარდიულმა კორპუსმა ხუთი დღის მძაფრი ბრძოლით გაიარა 140 კილომეტრი და გაათავისუფლა ქალაქები: არმიანსკი, ევპატორია, საკი...

* * *

ზღვისკენ მიერეკებოდნენ ფაშისტთა ურდოებს ჩვენი ჯარები. ზედიზედ თავისუფლდებოდა ახალ-ახალი ქალაქები. დარჩენილი იყო მხოლოდ სევასტოპოლი, სადაც უკანდახეულმა გერმანელებმა თავი მოუყარეს მთელ გადარჩენილ ტექნიკასა და ცოცხალ ძალას. სიმაგრეთა ჯაჭვი ჰქონდა შემოვლებული სახელგანთქმულ საპუნ-გორას. ასევე ძლიერ გამაგრებული იყო მეკენზის მთები, ინკერმანი, ბალაკლავა, მალახოვ კურგანი, სევასტოპოლის ყოველი მისადგომი.

დაიწყო იერიში დიდების ქალაქზე. 7 მაისს, ალიონზე, როცა ვარდისფრად შეიღება ყირიმის ცა, უჩვეულო ცეცხლი გააჩაღა საბჭოთა არტილერიამ. ბრძოლაში ჩაება ჩვენი ავიაცია. ზედიზედ არღვევდა გერმანელთა თავდაცვის ზღუდეებს ყუმბარებისა და ბომბების საშინელი ქარტეხილი. მტრის ბლინდაჟებში სცვივოდა აფეთქებით დამსკდარი ქვებიც. სიკვდილი მიჰქონდა გერმანელ დამპყრობლებთან ტყვიების კოკისპირულ წვიმას. ხანძრის ვეებერთელა ალი გუზგუზებდა მტრის სანგრებში, საცეცხლე წერტებზე, გამაგრებულ მაღლობებზე, დანაღმულ მინდვრებზე...

მეკენზის მთების რაიონში იბრძოდა ჩანჩიბაძის გვარდიული კორპუსი.

ჯერ კიდევ 1941 წელს, აქ, როცა სევასტოპოლის მისადგომებს ვიცავდით, მთელი ხუთი თვის განმავლობაში ინარჩუნებდნენ დაკავებულ პოზიციებს ჩვენი ჯარები. ახლა კი გერმანელებმა სამი დღეც ვერ გაუძლეს ჩანჩიბაძის გვარდიელთა შეტევას. მათ გაარღვიეს მტრის სიმაგრეთა მთელი სისტემა მეკენზის მთებთან, სწრაფად დაიკავეს კორაბელნაია სლობოდა, პონტონებით შეიჭრნენ სამხრეთის ბოლაზში და ულმობელი დარტყმით გაანადგურეს მტერი სევასტოპოლის დასავლეთ გარეუბნებში.

9 მაისს, დღისით, გმირი ქალაქის ქუჩებში გააფთრებული ბრძოლა იყო, ღამით კი დიდი მარშალის ბრძანება ახარებდა ქვეყანას, რომ განთავისუფლდა ყირიმის მშვენება, უდიდესი სამხედრო-საზღვაო ბაზა და ნავსადგური შავ ზღვაზე — სევასტოპოლი.

* * *

სევასტოპოლი! რაოდენ სიყვარულს იწვევს ეს სიტყვა, სიტყვა გმირობის შთამგონებელი. მართალი იყვნენ ძველი ბერძნები, როცა ამ ქალაქს თავიანთ მშობლიურ ენაზე უწოდეს სევასტოპოლი (რაც ქართულად „დიდების ქალაქს“ ნიშნავს).

ორჯერ გააოცა სევასტოპოლმა მთელი მსოფლიო. ამაყი და უძლეველი იყო იგი 1854 წელს, როცა უცხო სახელმწიფოთა ფლოტები და არმიები უტევდნენ. უფრო ამაყი და შეუდრეკელი აღმოჩნდა იგი ამ დიდ სამამულო ომში. მან გაუძლო გერმანელთა რვათვიან ალყას. ჩვენი წითელი არმიისათვის კი სამი დღის შტურმიც საკმაო აღმოჩნდა, რომ სევასტოპოლი გერმანელთა „დიუნკერკად“ ექცია.

ახლა სიწყნარეა სევასტოპოლში. შავი ზღვის გრილი ნიავი ამრიალებს ომგადახდილ ჩინარებს. საბჭოთა ცხოვრებით სუნთქავს განთავისუფლებული ქალაქი. უცქერი შავი ზღვის ამ ტოლუპოვარ გოლიათს და გული სიხარულით ივსება. სევასტოპოლი სტალინური სტრატეგიის ზეიმია. გაგონდება ალუპკა, სადაც ვორონცოვის ყოფილი სასახლის ერთ-ერთ კედელზე არაბულ ენაზეა წარწერილი: „უძლეველი მხოლოდ ღმერთია“. გერმანელმა გენერლებმა ამას კიდევ თავიანთი ბაქიბუქობა მიუმატეს და ქვეშ მიაწერეს: „მხოლოდ ღმერთი და გერმანიის არმიაო“!!.

რა სასაცილოდ გეჩვენება ახლა ბედგანწირულ „არიელთა“ ეს მინაწერი!..

გრძელდება წითელი არმიის მძლავრი შეტევა. ახლოვდება ფაშისტთა ურდოების საბოლოო გაცამტვერების ჟამი. ამ სასიხარულო დღეების მოსვლას აჩქარებენ სამშობლოს ერთგული პატრიოტები. მტერზე გამარჯვებას აჩქარებენ ჩვენი მამაცი მეომრები, ბრძოლებში გამოწრთობილი ოფიცერთა კადრები, გამოცდილი და გამჭრიახი გენერლები. ერთ-ერთი ასეთი თავდადებული პატრიოტია ქართველი ხალხის სახელოვანი შვილი სტალინური გვარდიის ნაცადი გენერალი ჩანჩიბაძე.

გენერლის მკერდს ამშვენებს სახელისა და დიდების ნიშნები. ჩანჩიბაძე დაჯილდოებულია სუვოროვის 1-ლი და მე-2 ხარისხის, კუტუზოვისა და ბოგდან ხმელნიცკის მე-2 ხარისხის ორდენებით, აგრეთვე წითელი დროშის ორი ორდენით, წითელი ვარსკვლავის ორდენით და მედლით „წითელი არმიის XX წელი“.

დამთავრდა ბრძოლები ყირიმში. მაგრამ კვლავ გრძელდება დიდი სამამულო ომი. გენერალ ჩანჩიბაძის გვარდიელები ახლა საბჭოთა ლიტვის განთავისუფლებისათვის იბრძვიან.

გუშინ, 27 ივლისს, რადიოს ზედიზედ მოჰქონდა სასიხარულო ცნობები. განთავისუფლებულია ქალაქები: ლვოვი, ბელოსტოკი, სტანისლავი, დვინსკი, რეზეკნე და შაულიაი. უმაღლესი მთავარსარდლის, საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ სტალინის ბრძანებაში ქალაქ შაულიაის განთავისუფლების შესახებ მოხსენებულია გენერალ-ლეიტენანტ ჩანჩიბაძის ჯარები, რომლებმაც ბალტიისპირეთის 1-ლი ფრონტის სხვა ჯარებთან ერთად განსაკუთრებით ისახელეს თავი ბრძოლებში.

წინ კიდევ გადამწყვეტი ბრძოლებია, კვლავ მრავალჯერ გვიჩვენებს ვაჟკაცობას ჯარების უნარიანი ხელმძღვანელი, ბრძოლის ხელოვნებას დაუფლებული გულადი სარდალი გენერალ-ლეიტენანტი პორფილე გიორგის-ძე ჩანჩიბაძე.

ვარლამ ჭურული

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეპეშები

მდგომარეობა აღმოსავლეთ პრუსიაში

სტოკჰოლმი, 26 ივლისი (საკდესი). შვედური გაზეთი „მორგონ ტიდნინგენი" იუწყება, რომ „ჰიტლერმა ბრძანება გასცა აღმოსავლეთ პრუსიაში, დანციგსა, პომერანიასა და დასავლეთ პრუსიაში მყოფი ჯარების ერთიანი სარდლობისადმი დაქვემდებარების შესახებ. სარდალია ფელდმარშალი მოდელი. გენერალ აიზენბეკს ჰიტლერმა მიანდო „საბოტაჟისა და პარტიზანული ომის ლიკვიდაცია".

მატარებლები აღმოსავლეთ პრუსიაში გაჭედილია ევაკუირებული ქალებითა და ბავშვებით. ამიტომ ევაკუაცია სწარმოებს აგრეთვე საზღვაო გზით პილაუსა და მემელზე. ყველა ადგილი ამ ნავსადგურებში მყოფ გემებზე წინასწარ არის დაკავებული. ბილეთები მეტად მაღალ ფასად იყიდება შავ ბირჟაზე.

ოფიცერთა დახვრეტა გერმანიაში

სტოკჰოლმი, 26 ივლისი (საკდესი). შვედური გაზეთი „მორგონ ტიდნინგენი" სწერს: „გერმანიიდან იუწყებიან, რომ შახტის სიძე საელჩოს მრჩეველი ბარონი ფონ შერფენბერგი, რომელიც მარტში დაპატიმრებულ იქნა დამარცხების სასარგებლო ლაპარაკისათვის, დახვრეტილია. თვით შახტის ბედი გამოურკვეველია. მისი მამული ბრანდენბურგში დაკავებულია ს.ს.-ელთა რაზმების მიერ. დახვრეტილია აგრეთვე რუნდშტედტის ერთ-ერთი უახლოესი თანამშრომელი — საფრანგეთში მყოფი ერთ-ერთი ჯავშანსატანკო დივიზიის მეთაური გენერალ-პოლკოვნიკი ბარონი ფონ შვეპენბურგი. გარდა ამისა, დაპატიმრებულია გენერალი ფონ მახენფელდი. მისი ბედის შესახებ არაფერი იციან. უნგრელი გენერალი იაკუბეცი, რომელიც მივლინებული იყო გერმანიის მთავარ ბანაკთან, ბუდაპეშტს დააბრუნეს, ვინაიდან იგი ურევია გერმანიის გენერლების შეთქმულებაში. ფელდმარშალმა მოდელმა ჰიტლერს წერილი გაუგზავნა თავისი ლოიალობის შესახებ. გენერალ-პოლკოვნიკ ლინდემანს, გენერალ შერნერს და ფელდმარშალ კესელრინგს დარწმუნების ასეთი წერილი არ გაუგზავნიათ".

ლონდონი, 26 ივლისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო ციურიხიდან გადმოგვცემს უცხოელთა წყაროებიდან მიღებულ ცნობას იმის შესახებ, რომ ვენაში ს.ს.-ელებმა ყაზარმის ეზოში დახვრიტეს გერმანიის არმიის 19 ოფიცერი იმასთან დაკავშირებით, რომ ამ ოფიცრებმა ბრძანება მისცეს თავიანთ ნაწილებს წინააღმდეგობა გაეწიათ ს.ს.-ელთა ყოველგვარი ჩარევისათვის და საჭირო შემთხვევაში იარაღი ეხმარათ.

„არაკეთილსაიმედო" ოფიცრებისა და გენერლების დაპატიმრება და დახვრეტა გერმანიაში

ნიუ-იორკი, 26 ივლისი (საკდესი). გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი" სწერს, რომ, ბერნიდან მიღებული ცნობით, 19 ივლისს დილიდან, ე. ი. ჰიტლერზე თავდასხმამდე ერთი დღით ადრე, დაიწყო ფართო „წმენდა" გერმანელ ოფიცერთა შორის, მაიორებით დაწყებული და ფელდმარშლებით გათავებული. ეს „წმენდა" ამჟამადაც გრძელდება. უმაღლეს წერტილს მან მიაღწია 21 ივლისს, როდესაც ვენის საპყრობილე „გრაუესჰაუზში" დახვრეტილ იქნა ოთხი ფელდმარშალი, რომელთა გვარებიც უცნობია. ვენაში, მიუნხენში, კენიგსბერგში, მაგდებურგში, ბერლინსა და პრაღაში სერიოზული შეტაკებები მოხდა ჰიმლერის დაქირავებულებთან, რომლებიც მოელოდნენ ჰიტლერზე თავდასხმას და ცდილობდნენ მოესპოთ ოპოზიცია. 20 ივლისს „წმენდის" შემდეგ გადარჩენილნი ცდილობდნენ გერმანიიდან წასვლას. ამჟამად ჰიმლერის ხელში თავმოყრილია მთელი პოლიტიკური, სამხედრო, ეკონომიური და პოლიციური ძალაუფლება. ჰიმლერი კონტროლს უწევს აგრეთვე სამხედრო ოპერაციებს ყველა ფრონტზე.

ხმები გერმანელ გენერალ-ფელდმარშალ ბუშის თვითმკვლელობის შესახებ

ლონდონი, 26 ივლისი (საკდესი). როგორც ლონდონის რადიო იუწყება, მიღებულია ცნობა, რომ თავი მოიკლა გენერალ-ფელდმარშალმა ბუშმა, რომელიც სარდლობდა გერმანიის ჯარებს აღმოსავლეთის ფრონტის ცენტრალურ უბანზე.

მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობები

ლონდონი, 26 ივლისი (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის დღეს დილით გამოქვეყნებულ ცნობაში ნათქვამია:

სენ-ლოს დასავლეთით მდებარე რაიონში მოკავშირეთა ჯარებმა წინ წაიწიეს 3.000 იარდით ფართო ფრონტზე და რამდენიმე ადგილას გადასჭრეს პერიე-სენ-ლოს გზა. კანის სამხრეთით გაფთრებული ბრძოლები გრძელდებოდა. მთელი დღის განმავლობაში მოწინააღმდეგე განაგრძობდა კონტრიერიშებს ტანკების დახმარებით. მოკავშირეები ინარჩუნებენ მათ მიერ თავდაპირველად დაკავებულ ყველა პუნქტს.

25 ივლისს მთელი დღის განმავლობაში მოკავშირეთა ავიაციის შენაერთები კვლავ ინტენსიურ დახმარებას უწევდნენ სახმელეთო ნაწილებს, აგრეთვე იერიში მიჰქონდათ მტრის კომუნიკაციებზე.

ლონდონი, 26 ივლისი (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის საღამოს ცნობაში ნათქვამია:

დასავლეთ სექტორში მოკავშირეთა წინსვლა განუხრელად გრძელდება, და ბრძოლების რაიონი გაფართოვდა.

მდინარე ორნის აღმოსავლეთით მოწინააღმდეგე ყოველ ღონეს ხმარობს იმ მიზნით, რომ ხელი შეუშალოს ჩვენი ჯარების გასვლას გაშლილ სივრცეზე კანის სამხრეთ-აღმოსავლეთით. მოწინააღმდეგემ ბრძოლაში გამოიყვანა დამატებითი მაშველი ძალები. ჩვენი მოიერიშე ნაწილები ძლიერ საარტილერიო და სანაღმტყორცნო ცეცხლს შეხვდნენ მტრის თავდაცვითი პოზიციებიდან. ერთ პუნქტში ჩვენმა ჯარებმა მოიგერიეს მოწინააღმდეგის ძლიერი კონტრიერიში, რომელსაც ტანკები ეხმარებოდნენ.

26 ივლისს დილით მოკავშირეთა ავიაცია განაგრძობდა თავდასხმებს მოწინააღმდეგის ობიექტებზე.

საომარი მოქმედება იტალიაში

ლონდონი, 26 ივლისი (საკდესი). იტალიაში მოქმედი მოკავშირეთა ჯარების შტაბი იუწყება, რომ 30 მილიან ფრონტზე ფლორენციის სამხრეთით მე-8 არმიის ნაწილებმა კვლავ მნიშვნელოვნად წაიწიეს წინ. მოწინააღმდეგის თავდაცვის პირველი ხაზი 6 მილზე არეცოს ჩრდილო-აღმოსავლეთით გარღვეულია.

გუშინ მძიმე ბომბდამშენთა შენაერთები თავს დაესხნენ „გერმან გერინგის" ფირმის სატანკო ქარხანას ლინცში და რკინიგზის კვანძ ფილახს ავსტრიაში. მოკავშირეთა ტაქტიკური ავიაცია მოქმედებდა ბრძოლების რაიონში, ჩრდილოეთ იტალიასა და იუგოსლავიაში.

შტუტგარტისა და ბერლინის დაბომბვა

ლონდონი, 26 ივლისი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, 25 ივლისს ღამით ინგლისის ავიაცია თავს დაესხა შტუტგარტსა და ბერლინს. გარდა ამისა, თავს დაესხნენ გერმანიის თვითმფრინავ-ყუმბარების გასაშვებ ბაზებს ჩრდილოეთ საფრანგეთში.

ომის საწინააღმდეგო დემონსტრაცია ფინეთში

სტოკჰოლმი, 26 ივლისი (საკდესი). გაზეთი „არბეტარენი" იუწყება, რომ ჰიტლერზე თავდასხმის შემდეგ აბოში მოხდა დემონსტრაცია გერმანიის მხარეზე ომში ფინეთის მონაწილეობის წინააღმდეგ. პოლიციამ დემონსტრანტების წინააღმდეგ ცივი იარაღი იხმარა. დემონსტრანტები პოლიციელებს ქვებს ესროდნენ და გაიძახოდნენ: „ძირს ნაცისტები!". ასეთივე დემონსტრაციები მოხდა ჰელსინკსა და ტამერფორსში.

შედეგები ფრანგთა შეიარაღებული ძალების საბრძოლო საქმიანობისა საფრანგეთში

ლონდონი, 27 ივლისი (საკდესი). აფის სააგენტო იუწყება, რომ სავსებით არასრული ცნობებით, საფრანგეთის წინააღმდეგობის ძალთა საბრძოლო ოპერაციების განმავლობაში ამა წლის 6 ივნისიდან მოკლულია 16.500, დაჭრილია 1.650 და ტყვედ წაყვანილია 500 გერმანელი. ფრანგების მოქმედება განსაკუთრებით აქტიური იყო ბრეტანში — ნორმანდიის მოსაზღვრე პროვინციაში. აქ მოკლულ იქნა 3 ათასზე მეტი გერმანელი. თითქმის ყველა რკინიგზაზე, რომლებიც ბრეტანში გადის, დარღვეული იყო მოძრაობა. ნორმანდიაში საფრანგეთის წინააღმდეგობის ძალები წარმატებით მოქმედებენ გერმანელთა ზურგში. ზოგიერთი რაზმი მოქმედებს 20 კილომეტრზე ფრონტის ხაზიდან. პირენეებში ფრანგი პატრიოტები კონტროლს უწევენ მთელ რიგ რაიონებს.

ჟენევა, 27 ივლისი (საკდესი). შვეიცარიის გაზეთი „ტრიბიუნ დეჟენევი" იუწყება, რომ ამას წინათ გერმანელებმა სცადეს კვლავ ჩაეგდოთ ხელში ენის დეპარტამენტის ქალაქი ოიონაქსი, რომელიც საფრანგეთის წინააღმდეგობის ძალებმა გაათავისუფლეს. ჰიტლერელებმა დაბომბეს ქალაქი, რის შემდეგ მის წინააღმდეგ იერიში მიიტანეს. გერმანელთა ძალების სიჭარბის მიუხედავად, ფრანგებმა მათ მძიმე ზარალი მიაყენეს და ქალაქიდან უკუაქციეს.

უცხოეთის ქრონიკა

მექსიკოში გაიხსნა საბჭოთა არქიტექტურის გამოფენა. გამოფენაზე ექსპონირებულია რუსეთის უძველესი არქიტექტურის ძეგლებისა და თანამედროვე საბჭოთა ხუროთმოძღვრების ფოტოსურათები. წარმოდგენილია აგრეთვე ფოტოდოკუმენტები, რომლებიც გვიჩვენებენ ჰიტლერელი ვანდალების მიერ დროებით ოკუპირებულ საბჭოთა ტერიტორიებზე ისტორიულ ძეგლთა ბარბაროსულ დანგრევას.

* * *

გერმანელთა საოკუპაციო ჯარების სარდალს პარიზში გენერალ—შტიულპნაგელს თავს დაესხნენ აღმოსავლეთ საფრანგეთში მისი გამგზავრების დროს. შტიულპნაგელი მძიმედ არის დაჭრილი.

* * *

უახლოესი 5-10 წლის განმავლობაში ამერიკის შეერთებულ შტატებში განზრახულია კიდევ 3 ათასი აეროპორტის აგება და 1.625 არსებულის გაუმჯობესება. ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებში 3.036 აეროპორტია. ნაცვლად 286 ქალაქისა, რომლებიც ამჟამად სარგებლობენ საჰაერო ტრანსპორტით, მით 1.827 ქალაქი ისარგებლებს.

* * *

ურუგვაის მთავრობამ მთელი რიგი გამაფრთხილებელი ზომები მიიღო ყველა ნავსადგურის დასაცავად. ეს ზომები დაკავშირებულია იმასთან, რომ უკანასკნელ დროს არგენტინის პროფაშისტურმა მომხრეებმა გააძლიერეს კამპანია ურუგვაის მთავრობისა და ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ.

(საკდესი).

კაბინეტის შეცვლა იაპონიაში

(საკდესის შორეული აღმოსავლეთის მიმომხილველის სტატია)

წყნარი ოკეანის ცენტრალურ ნაწილში 15 ივნისს მოხდა ამბავი, რომელმაც იაპონური პრესის განსაკუთრებით შეშფოთებული გამოხმაურება გამოიწვია: ამ დღეს ამერიკის ჯარები გადასხდნენ იაპონიის კუნძულ საიპანზე, რომელიც ეკუთვნის მარიანის კუნძულების ჯგუფს და ორიათას კილომეტრზე მდებარეობს საკუთრივ იაპონიიდან.

ამის შემდეგ კუნძულისათვის გაჩაღებულმა ოთხი დღის ბრძოლამ უაღრესად გააფთრებული ხასიათი მიიღო, ამასთან ორივე მხარემ არსებითი ზარალი განიცადა. 16 ივლისს იაპონიის ჯარებმა კუნძულზე სასოწარკვეთილად სცადეს — ზღვისკენ უკუეგდოთ წინ მიმავალი ამერიკელთა ნაწილები.

მაგრამ ეს იერიში იაპონელთა გარნიზონისათვის უკანასკნელი აღმოჩნდა; ერთი დღის შემდეგ იაპონიის საიმპერატორო ბანაკმა ოფიციალურად გამოაცხადა კუნძულის მთელი იაპონელთა გარნიზონის, აგრეთვე კუნძულის სახმელეთო ჯარების სარდლის გენერალ-ლეიტენანტ საიტოს და საზღვაო ქვეითი ჯარის სარდლის კონტრ-ადმირალ სუძიმუხარას დაღუპვა. დაღუპულთა შორის ნაპოვნია გვამი ვიცე-ადმირალ ნაგუმოსი, რომელიც, როგორც ცნობილია, სარდლობდა იაპონელთა ძალებს, 1941 წელს რომ დაესხნენ თავს ამერიკის საზღვაო ბაზას პირლ-ჰარბორს.

12 ივლისს ამერიკის საზღვაო მინისტრ ფორესტოლის მიერ გამოქვეყნებული ცნობების თანახმად, იაპონელთა გარნიზონი კუნძულ საიპანზე 22 ათასი კაცისაგან შესდგებოდა.

საიპანის სტრატეგიული მდებარეობის მნიშვნელობა არა ერთხელ აღუნიშნავთ იაპონიის გაზეთებს კუნძულისათვის ბრძოლების დღეებში: „მტერი ცდილობს,—სწერდა გაზეთი „ტოკიო სიმბუნი"—მოგვწყვიტოს ჩვენ სამხრეთ რაიონებს და უშუალოდ დაარტყას ჩვენს ქვეყანას".

კუნძულ საიპანის დაკარგვა, როგორც ეს აღიარეს იაპონიის მოღვაწეებმა და პრესამ, იაპონიისათვის სერიოზული ლახვრის ჩაცემა აღმოჩნდა და ჰქმნის წინაპირობებს იმისათვის, რომ საომარი მდგომარეობა წყნარ ოკეანეში არსებითად შეიცვალოს მოკავშირეთა სასარგებლოდ. იაპონიის ახლახან გადამდგარი კაბინეტის მეთაური გენერალი ტოძიო, მის მიერ 18 ივლისს გამოქვეყნებულ განცხადებაში ამტკიცებდა, რომ კუნძულ საიპანის დაცემის შემდეგ „იაპონიის იმპერია ისეთი სერიოზული საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, როგორიც მას ჯერ კიდევ არასოდეს დამუქრებია ისტორიის მთელ მანძილზე".

„ცხადია, რომ კუნძულ საიპანის დაკავებით მოწინააღმდეგე დაიწყებს თავდასხმებს იაპონიაზე...,—სწერდა რამდენიმე დღის წინათ გაზეთი „ასახი", რომელიც არკვევდა ამ ზარალის სამხედრო შედეგებს.—ჩვენ მზად უნდა ვიყოთ დიდი მასშტაბის ხანგრძლივი და შეუსუსტებელი საჰაერო იერიშებისათვის. გარდა ამისა, მხედველობაში მისაღებია იაპონიის ნაპირებთან მოწინააღმდეგის ფლოტის მოახლოების შესაძლებლობა. ამრიგად, მოწინააღმდეგეს ყოველ წუთს შეუძლია დაიწყოს შემოჭრის ოპერაციები, რომლებიც მიმართული იქნება საკუთრივ იაპონიის წინააღმდეგ. გადაჭარბებული არ იქნება იმის თქმა, რომ ამჟამად ბრძოლის ველი იაპონიაშია".

საჭიროა აღინიშნოს, რომ წყნარ ოკეანეში საომარი ვითარების შეცვლამ გამოიწვია იაპონიაში ისეთი გამოხმაურებანი, რომლებიც ამ მოვლენის წმინდა სამხედრო შეფასების ჩარჩოებს სცილდება, და შეშფოთების განწყობილება წარმოშვა იაპონიაში. მაგალითად, გაზეთმა „ტოკიო სიმბუნმა" რამდენიმე დღის წინათ მოათავსა სტატია, სადაც ჰკიცხავდა იმ ადამიანებს, „რომლებიც პანიკას ეძლევიან ცალკეულ რაიონებში გაძნელებული მდგომარეობის გამო". „ადამიანს, რომელიც ივიწყებს საერთო საომარ ვითარებას,—სწერდა გაზეთი,—და რომელიც ზედმეტ მოუსვენრობას განიცდის, შეიძლება დამარცხების მომხრე ვუწოდოთ". გაზეთმა „იომიური-ხოჩიმ" იაპონიაში შექმნილი პირობები განმარტა, როგორც „იაპონიის ისტორიაში უპრეცედენტო კრიზისი".

საიპანის დაცემას თან მოჰყვა დიდი ცვლილებანი იაპონიის უმაღლესი სარდლობის შემადგენლობაში, ხოლო მალე—18 ივლისს გენერალ ტოძიოს მთავრობის გადადგომაც, რაც 20 ივლისს გამოცხადდა.

კაბინეტის გადადგომას წინ უძღოდა ტოძიოს მთელი რიგი თათბირები ძველ სახელმწიფო მოღვაწეებთან, აგრეთვე გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწეებთან, რომლებიც „ტახტისადმი დახმარების პოლიტიკური ასოციაციის" შემადგენლობაში შედიან. ამ თათბირების შესახებ რომ იუწყებოდა, დომეი ცუსინის სააგენტო აცხადებდა, რომ ერთ-ერთი პრობლემა, „რომელსაც ტოძიოს კაბინეტი წააწყდა, კაბინეტის სტრუქტურის განახლების მიზნით, აგრეთვე ხალხის გამხნევების მიზნით, კაბინეტის შემადგენლობაში ნიჭიერი ადამიანების შეყვანის აუცილებლობა იყო. ტოძიოს წარუმატებლობამ ამ საკითხის გადაწყვეტაშიც საბოლოოდ აიძულა კაბინეტი გადამდგარიყო. თავისი მოლაპარაკების შედეგად წარუმატებლობა რომ განიცადა, ტოძიომ საბოლოოდ გადაწყვიტა ადგილი დაეთმო ახალი პრემიერ-მინისტრისათვის და გაეთავისუფლებინა გზა ომიანობის დროის უფრო ძლიერი კაბინეტის შესადგენად...".

იაპონური პრესის მრავალგზისმა განცხადებამ იმის შესახებ, რომ ახალი კაბინეტის შემადგენლობაში ჩაბმულ იქნებიან „ძველი სახელმწიფო მოღვაწეები", საბაბი მისცა ზოგიერთ უცხოელ მიმომხილველს გამოეთქვათ მოსაზრება, რომ გენერალ ტოძიოს შესცვლის რომელიმე „უხუცესი სახელმწიფო მოღვაწე" იმ მიზნით, რათა გაადვილდეს მოკავშირეებთან მოლაპარაკების დაწყების შესაძლებლობა. მაგრამ ზოგიერთი უცხოელი მიმომხილველის ეს მოსაზრება შემდეგ მათ მალე უკუაგდეს.

იაპონიის ახალი მთავრობის შემადგენლობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, იგი ემყარება უფრო ფართო პოლიტიკურ წრეებს, ვიდრე ტოძიოს გადამდგარი კაბინეტი, მასში შედიან იმ ძველი საპარლამენტო პარტიების მოღვაწეები, რომლებიც ოფიციალურად დათხოვნილად ითვლებიან, აგრეთვე სამეფო კარის წრეებთან ახლოს მდგომი პირები. თვითონ იაპონიის პრესა განსაკუთრებით უსვამს ხაზს იმ ფაქტს, რომელიც თითქმის უმაგალითოა იაპონიის ისტორიის უკანასკნელი ათეული წლის მანძილზე, რომ ახალი კაბინეტის ჩამოყალიბება დაევალა ორ პოლიტიკურ მოღვაწეს გენერალ კოისოს, როგორც არმიის წარმომადგენელს, და ადმირალ იონაის, როგორც ფლოტის წარმომადგენელს. ორივენი სამსახურიდან გადამდგარი სამხედრო პირები არიან. იაპონიის პრესა ამ თანამშრომლობას განმარტავს იმ აზრით, რომ მან უნდა უზრუნველყოს კონტაქტი და თანამშრომლობა არმიასა და ფლოტს შორის და რომ კოისოს კაბინეტს ექნება ხასიათი ფლოტისა და არმიის კოალიციური კაბინეტისა, რომელიც აგრეთვე შეეცდება დაეყრდნოს იაპონიის სხვა გავლენიან პოლიტიკურ წრეებსაც.

პრესის წარმომადგენლებთან თავის პირველ ინტერვიუში, რომელიც 22 ივლისს შესდგა, გენერალმა კოისომ დასახა თავისი კაბინეტის მომავალი მოღვაწეობის ძირითადი ხაზები. როგორც დომეი ცუსინის სააგენტო იუწყება, მან განაცხადა, რომ „ახალ კაბინეტს განზრახვა არა აქვს მოახდინოს რაიმე ცვლილება იაპონიის ძირითად სამხედრო პოლიტიკაში". შეეხო რა საგარეო პოლიტიკას, პრემიერმა სთქვა, რომ „იაპონია განაგრძობს თავისი კავშირის განმტკიცებას გერმანიასთან საერთო სამხედრო მიზნების მისაღწევად". გენერალმა კოისომ შემდეგ აღნიშნა, რომ მთავრობას, რომელსაც იგი სათავეში უდგას, „კვლავ მეგობრული ურთიერთობა ექნება საბჭოთა კავშირთან და მთელ ძალღონეს იხმარს იმისათვის, რომ თავიდან აიცილოს არასაჭირო გართულებანი...".

უდავო ინტერესს წარმოადგენს გენერალ კოისოს მიერ იმ კითხვაზე გაცემული პასუხი, თუ რა პოლიტიკას დაიდებს მთავრობა საფუძვლად სახელმწიფოს შინაგან მმართველობას ომის მოცემულ სტადიაზე. კოისომ განაცხადა, რომ „მთავრობის პოლიტიკის საფუძველი იქნება ორი პირობა: ჯერ ერთი, ხალხის საბრძოლო სულისკვეთების ამაღლება და მეორე, სამრეწველო წარმოების გადიდება".

საიპანის დაცემა შეიქმნა მხოლოდ ერთ-ერთი მიზეზი კრიზისის გამწვავებისა იაპონიაში. კრიზისის ფესვები, როგორც სჩანს, უნდა ვეძიოთ ღერძის კრახში და გერმანიის მოახლოებულ კრახში, იაპონიის მიერ კონტინენტზე (ჩინეთი, ინდოეთი) წარმოებული ომის უპერსპექტივობაში, წყნარ ოკეანეზე მოკავშირეთა ჯარების დარტყმათა მზარდ ძლიერებაში და იმაში, რომ იაპონიისათვის შეუძლებელია მეტოქეობა გაუწიოს თავის სამხედრო მოწინააღმდეგეებს თავისი სამხედრო პოტენციალის გადიდებაში.

ამრიგად, იაპონიაში მთავრობის ახლანდელი შეცვლა ნაკარნახევია მისწრაფებით იპოვონ გამოსავალი იაპონიის მეტისმეტად მძიმე მდგომარეობიდან, რომელსაც თვითონ ახალი პრემიერ-მინისტრი კოისო ახასიათებს, როგორც იაპონიის „ნაციონალურ კრიზისს".

„იაპონელმა ხალხმა იცის, — სწერდა ამ დღეებში გაზეთი „ასახი", — რომ უახლოეს თვეებში გადაწყდება იაპონიის ბედ-იღბალი".

პ. კლენოვი

ჯონ ქოზეფ დალტონი

გარდაცვალების 100 წლისთავის შესრულების გამო

გამოჩენილ ინგლისელ ფიზიკოსსა და ქიმიკოსს ჯონ ქოზეფ დალტონს (1766—1844 წ.) საინტერესო ბიოგრაფია აქვს. ამ უდიდეს მეცნიერს, არავითარი სპეციალური განათლება არ მიუღია. ბავშვობაში იგი კერძოდ სწავლობდა. 12 წლისამ დაანება თავი სწავლას და თვით დაიწყო ბავშვების სწავლება.

დალტონი გატაცებული იყო ზუსტი მეცნიერებით და ადრევე დაიწყო მათემატიკის, ფიზიკისა და ქიმიის შესწავლა. თვითგანვითარების გზით მან ისეთი დიდი ცოდნა მოიპოვა საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში, რომ მისმა ნაშრომებმა მალე მიიქციეს ყურადღება.

თავისი სამეცნიერო მოღვაწეობა დალტონმა მეტეოროლოგიით დაიწყო. 57 წლის განმავლობაში მან 200.000 მეცნიერული დაკვირვება მოახდინა და ამის საფუძველზე გამოაქვეყნა ნაშრომი (1793 წ.), რომელმაც მნიშვნელოვნად გაამდიდრა მეტეოროლოგია.

1793 წელს დალტონი გადასახლდა მანჩესტერში, რომელიც XVIII საუკუნეში ინგლისის დიდი სამრეწველო და კულტურული ცენტრი იყო. ჯემს უატის ორთქლის ქვაბის გამოგონებამ მთელი გადატრიალება მოახდინა ინგლისის მრეწველობაში. დაიწყო სამანქანო ტექნიკის განვითარების ხანა. ამ პირობებში საჭირო იყო ორთქლის, გაზების, სითბოს და საერთოდ ენერგეტიკული წყაროების მეცნიერული შესწავლა. მეცნიერები, კერძოდ ჯონ დალტონიც სწორედ ეპოქის ამ საკითხებზე მუშაობდნენ. ხანგრძლივი მეცნიერული დაკვირვების შედეგად დალტონმა გამოაქვეყნა მთელი რიგი წერილები, წიგნები და ბოლოს ჩამოაყალიბა ფიზიკაში კარგად ცნობილი „პარციალური წნევის კანონი", მან გაზების ფიზიკური სტრუქტურის შესწავლის შედეგად დაამუშავა ახალი ატომისტური თეორია ფიზიკაში.

გაზების სტრუქტურის შესწავლისას საჭირო შეიქმნა გაზების ატომების სიდიდისა და წონის შესწავლა. ამისათვის დალტონს მოუხდა მუშაობა ქიმიაში. ქიმიურ ლაბორატორიაში ხანგრძლივი დაკვირვების და გამოკვლევების საფუძველზე დალტონმა გამოაქვეყნა „ქიმიური ფილოსოფიის ახალი სისტემა". ამ ნაშრომში მან დაამუშავა ახალი ქიმიური ატომისტიკა. რა დიდი მნიშვნელობა აქვს დალტონის ატომისტიკას, ამას გვიჩვენებს ფრ. ენგელსი, რომელიც „ბუნების დიალექტიკაში" სწერს: „ქიმიაში ახალი ხანა იწყება ატომისტიკით (ამიტომაც ლავუაზიე კი არა, დალტონია თანამედროვე ქიმიის მამა) და ამასთან შეფარდებით, ფიზიკაში — მოლეკულური თეორიით". დალტონმა ასე ჩამოაყალიბა თავისი ქიმიური ატომისტიკის თეორია: „ყველა ელემენტი შესდგება უცვლელი წონის ერთგვარი ატომებისაგან", ხოლო „რთული ქიმიური სხეული წარმოიქმნება სხვადასხვა ელემენტების ატომების შეერთებით, მათი უბრალო რიცხობრივი შეფარდებით".

დალტონის გარდაცვალებიდან 100 წელმა განვლო. ფიზიკაშიც და ქიმიაშიც ამ ხნის განმავლობაში მრავალი რამ ახალი აღმოაჩინეს. თვით ატომური თეორია ახლა დიდად არის განვითარებული, მაგრამ საფუძველი მას დალტონმა ჩაუყარა და ამიტომ საბუნებისმეტყველო მეცნიერება პატივით იხსენიებს ამ სახელოვან მეცნიერს.

ი. ჟორჟოლიანი

ჩვენი სამშობლოს ამ სტალინურმა შევარდნებმა საჰაერო ბრძოლებში გერმანელთა 205 თვითმფრინავი მოსპეს. მარცხნიდან მარჯვნივ: საბჭოთა კავშირის გმირი ა. თ. კლუბოვი, საბჭოთა კავშირის ორგზის გმირი გ. ა. რეჩკალოვი და საბჭოთა კავშირის გმირები ა. ი. ტრუდი და ბ. ბ. გლინკა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

რაიკომის პლენუმმა განიხილა საკოლმეურნეო წესდების გატარების საკითხი

საჩხერე („კომუნისტის" საკ. კორესპონდენტისაგან). სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდება საკოლმეურნეო ცხოვრების ურყევი კანონია. საჩხერის რაიონის ბევრ კოლმეურნეობაში მტკიცედ ატარებენ სტალინურ წესდებას, რასაც თავისი შედეგი მოაქვს. — გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, გადიდდა საკოლმეურნეო დოვლათი. მაგრამ ამასთან რაიონში არიან ისეთი კოლმეურნეობებიც, სადაც ნაკლებად ზრუნავენ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების გატარებისათვის და ხშირად არღვევენ მას. ამიტომ იყო, რომ საქართველოს კ. პ. (ბ) საჩხერის რაიკომმა ამ დღეებში პლენუმზე სპეციალურად განიხილა რაიონში საკოლმეურნეო სტალინური წესდების განხორციელების საკითხი.

ამ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა რაიკომის მდივანი ამხ. გოვსაძე. გამოირკვა, რომ ბევრგან ადგილი აქვს საკოლმეურნეო მიწების განიავებას. საჩხერის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის აქტით ჩაბარებულ მიწას 82 ჰექტარი დააკლდა. სხვიტორის აკაკი წერეთლის სახელობის კოლმეურნეობამ აქტით 492 ჰექტარი მიწა ჩაიბარა, მაგრამ აქედან 51 ჰექტარი გამგეობამ სატყეო მეურნეობას გადასცა დასამუშავებლად. საქმე იქამდე მივიდა, რომ კოლმეურნეობამ თავისი მიწით სარგებლობისათვის სატყეო მეურნეობას ხელშეკრულებაც კი დაუდო. სოფელ ორლულის კოლმეურნეობის წევრ ტ. ბაქრაძეს პირად სარგებლობაში აქვს 12.500 კვ. მეტრი მიწა, სოფელ ვოგოლაძეების ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში მოქალაქე ლ. მეგრელიშვილს საზოგადოებრივი მიწიდან 500 კვ. მეტრი ნაკვეთი მოუთვისებია, ხოლო ამავე კოლმეურნეობის 900 კვ. მეტრ მიწის ნაკვეთს დღესაც თვითნებურად ამუშავებს ნ. მაჭარაშვილი, რომელიც საჩხერის მიქოიან სახელობის კოლმეურნეობის წევრია.

ბევრგან საკოლმეურნეო დემოკრატიას უხ შად არღვევენ და თანხებს კოლმეურნეობ კრების დადგენილების გვერდის ავლ ხარჯავენ. თანხების ხარჯვაზე კონტროლ შესუსტებით ისარგებლა სოფელ ჭორვილ კოლმეურნეობის ყოფილმა თავმჯდომარემ ივანიშვილმა და 51,000 მანეთი გაანიავა, ხ ლო ამავე კოლმეურნეობის ყოფილმა მოან რიშე ხატალიშვილმა და მოლარე გოდა შვილმა 13.400 მანეთი მიითვისეს.

სოფელ ორლულის, ბერეთისის, ხვანის, ბ ჯითის, ნიგვზარის, სხვიტორის კოლმეურნე ბებში შრომის ორგანიზაცია და აღრიცხვა მ ვიწყებულია. ადგილი აქვს შრომადღეებ განიავებას. გასულ წელს სოფელ დუ კოლმეურნეობაში ფერმის გამგეს დამატებ 170 შრომადღე დაურიცხეს, ეს მაშინ, რო ფერმა საქონლის პროდუქტიულობის გეგმ შესრულებაში სამარცხვინოდ ჩამორჩებო სოფელ ვოგოლაძეების კოლმეურნეობამ 2.580 შრომადღე გადახარჯეს, სავანეში — 8.150, პერევში — 1.400, საჩხერეში—1.3 შრომადღე და სხვ.

მიწების აგრონომი ი. მაჭარაშვილი ვეტექიმი გ. გრძელიშვილი სოფელ შომხეთ სა და საჩხერის კოლმეურნეობებში აგრ ვეტერინარული მომსახურებისათვის შრომ დღეებს იღებენ.

პლენუმზე სიტყვით გამოვიდა აგრეთვე ს ქართველოს კ. პ. (ბ) საჩხერის რაიკომ მდივანი ამხ. პ. რატიანი. მან გააკრიტიკა კოლმეურნეობანი, რომლებიც ნაკლებად ზრ ნავენ არტელის სტალინური წესდების განხორციელებისათვის.

პლენუმმა მიიღო სათანადო დადგენილ

პ. ჭიოკაძე

ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა

(ტრესტ „საქჩაის" 25 ივლისის ცნობებით)

რაიონები	წლიური გეგმის შესრულება პროცენტობით	ივლისის გეგმის შესრულება პროცენტობით წინა თვეების დანაკლისის ჩათვლით	რაიონები	წლიური გეგმის შესრულება პროცენტობით	ივლისის გეგმის შესრულება პროცენტობით წინა თვეების დანაკლისის ჩათვლით
ბათუმი	52,3	50,0	ქუთაისი	61,2	76,3
ქობულეთი	51,6	50,9	წყალტუბო	58,3	36,6
გალი	50,0	44,3	ტყიბული	67,5	82,1
ოჩამჩირე	46,2	35,2	ცხაკაია	55,0	53,3
გულრიფში	87,1	50,0	აბაშა	56,3	51,4
სოხუმი	128,0	140,0	გეგეჭკორი	50,2	42,3
გუდაუთი	60,8	55,9	ზუგდიდი	50,0	37,8
მახარაძე	53,2	54,7	წალენჯიხა	56,9	53,4
ჩოხატაური	55,7	64,5	ჩხოროწყუ	51,7	38,3
ლანჩხუთი	47,3	43,9	ხობი	54,8	58,8
სამტრედია	64,8	77,4	ჩხარი	66,0	88,6
წულუკიძე	52,2	41,8	ზესტაფონი	49,0	23,5

ბათუმის, ლანჩხუთის, მახარაძის, გალის და ხობის რაიონების ცნობები არასრულია.

ი. გრიშაშვილის პოეზია

(მოსკოვი, „კომუნისტის" საკ. კორესპონდენტისაგან).

გაზეთმა „ლიტერატურა ი ისკუსტვომ" მოათავსა ამხ. სკოსირევის სტატია, მიძღვნილი პოეტ ი. გრიშაშვილის ლიტერატურული მოღვაწეობის 40 წლისთავისადმი. ამხ. სკოსირევი თავის სტატიაში ანალიზს უკეთებს ი. გრიშაშვილის მიერ განვლილ გზას და სწერს, რომ პოეტმა, განსაკუთრებით სამამულო ომის პერიოდში თავის პოეზიაში გამოხატა მტრისადმი უსაზღვრო სიძულვილი, გამოავლინა დიდი საბჭოთა სამშობლოს პატრიოტის ყველა თვისება.

კონსულტაცია

29 ივლისს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში (ლენინის ქ. № 41) შესდგება კონსულტაცია თემაზე: **„საბჭოთა კავშირის სამამულო ომის სამი წელი".**

კონსულტაციას ქართულ ენაზე ჩაატარებს ამხ. ტატიშვილი, რუსულ ენაზე — ამხ. ზავრიევი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში

პარასკევს, 28 ივლისს, დილის 11 საათზ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემი სხდომათა დარბაზში (ძერჟინსკის ქ. № 8) შ სდგება აკადემიკოს ნ. მარის სახელობის ენ ისტორიისა და მატერიალური კულტურის ი სტიტუტის (ენიმკის) სამეცნიერო საბჭოს ს სხდომა, მიძღვნილი ინსტიტუტის გაყოფისა მი ენისა და ისტორიის ინსტიტუტებად.

სხდომაზე მოსმენილ იქნება აკადემიკოს ჯანაშიას მოხსენება ენის, ისტორიისა და მ ტერიალური კულტურის ინსტიტუტის მუშა ბის შესახებ (1936-1944 წ. წ.).

დასწრება თავისუფალია.

სემინარი

28 ივლისს, საღამოს 8 საათზე, საქართვ ლოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის კე ხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბ ნეტში (ლენინის ქ. № 41) შესდგება საკა შირო კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელ წრეების პროპაგანდისტთა სემინარის მორ მეცადინეობა.

სემინარს ქართულ ენაზე ჩაატარებს, ამ გორგილაძე, რუსულ ენაზე — ამხ. გეგეშ

პასუხისმგებელი რედაქტორი
გ. ნანიტაშვილი

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობა იუწყება, რომ გარდაიცვალა მწერალ იროდიონ ევდოშვილის ქვრივი **მარიამ ივანეს-ასული ხოსიტაშვილისა.** გამოსვენება 28/VII, 6 ს. კავშირის, 3.

შვილი ცაცა ძმები მიხეილ, ლადო, დები ოლია, მარო, ვერა იუწყებიან ვეტექიმის **ილია ფილიპეს-ძე გორგიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 28, 29/VII, 8 ს. გამოსვენება 30/VII, 3 ს. ბელგიის ქ. № 1.

მონადირეთა კავშირის მუშა-მოსამსახურენი იუწყებიან ტროფიმ მატუას შვილის **ნუნუს** გარდაცვალებას.

„საქნავთის" მუშათა მომარაგების განყ. № 6 მაღაზიის თანამშრომლები იუწყებიან თამარ ხუბულურის დის **ეთერის** გარდაცვალებას.

დედა ნინო, ცოლი ნინო, დები ტასო, დოდო, ნონა შვილებით იუწყებიან **ვალერიან ვალერიანის-ძე გუნიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 28/VII, 7½ ს. გამოსვენება 29/VII, 5 ს. წერეთლის, 24.

შვილები ვარია, ეფროსინე, ვანო, ლიზა, თამარ, რძალი ლილი, სიძეები, შვილიშვილები იუწყებიან **ხარიტონ სხირტლაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 29/VII 6 ს. სასამართლოს, 54.

ცოლი ნინო, შვილები მანანა, ვოვა, ძმა ილ იუწყებიან, რომ 30/VII, 7 ს. ვერის ძველ სასაფლაოზე დანიშნულია მეცნ. დამსახ. მოღვაწის, პროფესორ **ვარლამ პავლეს-ძე მოსეშვილის** პანაშვიდი.

დაკარგულია თბილისის რაიონის პროკურატურის ლუქის შტამპი. ჩ. გ.

რედაქციის მისამართი თბილისი: ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის—3-62-26, პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილის—3-63-03, პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, ხამდივნოს—3-06-88, განყოფილებებისა: პარტიულისა და პროპაგანდის—3-81-84, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო—3-80-83, სამხედრო, განათლება-ჯანმრთელობის, ლიტერატურისა და ხელოვნების—3-80-84, წერილების—3-73-24, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის—3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28, ტირაჟი 91,800

უე 00321